140
1975



# პიონერი

8

1975



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკვდავება დაერქვა

გ ი ო რ გ ი  კ ა ჭ ა ხ ი ძ ე

აქ ყვავილიც სხვა ფერს იღებს,
სხვა ხმით სტვენენ ჩიტებიც,
ამ წმინდათა წმინდა ადგილს
შუქი ადგას დიდების.

გარს უვლიან პატარები,
ვით მშვიდობის მტრედები,
ჭირისუფლის მდუმარებით
თავს უხრიან დედები.

ნაღვლიანი მოკრძალებით
ქუდს უხდიან მამები,
ყველა მომსწრე და არ მომსწრე
იმ ომის და წამების.

აქ პატივით განისვენებს,
ვით უცნობი არწივი,
ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცი,
ხალხის გულის ნაწილი.

მამულისთვის თავდადებულს,
გამარჯვების კავალერს
გამარჯვების პარკი ექცა
სათაყვანო სავანედ.

ბედმა ულვთოდ გაიმეტა
საუკუნო ძილისთვის...
საპატიო ყარაულად
უდგას დედა თბილისი.

რაც სიკვდილით მამულს უთხრა,
არ შეეძლო არ ეთქვა.
სხვა სახელი მას არ უნდა —
უკვდავება დაერქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გამოცდა მთავარ საგანში

ერკეთელი ნორჩი მეომრები იერიშზე.

ქართლის დედაგული გორი!

დილის ხუთი საათია. უჩვეულო გუგუნია ქალაქის ქუჩებში.

დილის ბინდბუნდში ავტობუსის ბრდღვიალა მაშუქები ქალაქის მოედნებსა და ქუჩებში გზათა მაჩვენებელ ნიშნებს დაეძებენ. „ცისკარი — 75" აწერია უშველებელ ტრანსპარანტებს, იქვე ხიშტიანი ბავშვი დგას, ლურჯი ისარი კი მიმართულებას უჩვენებს. ავტობუსის სარკმლებიდან ყმაწვილების ცნობისმოყვარეობით აღსავსე სახეები იმზირებიან.

მათ ყველაფერი აინტერესებთ, ურთიერთის გაცნობაც, მასპინძლებთან შეხვედრაც, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც უნდა გაიმართოს სამხედრო-სპორტული თამაში „ცისკარი"-75". რამდენი საინტერესო ღონისძიება ელოდებათ აქ, რამდენი — პაექრობისათვის დამახასიათებელი იდუმალებით აღსავსე წუთი.

არც გასცრუებიათ ბავშვებს წინათგრძნობა. მრავალი საბრძოლო ეპიზოდი უნახავთ კინოში, მაგრამ სულ სხვაა, როცა თვითონ იღებენ მონაწილეობას ბრძოლებში. ტანკების გრუხუნში, ავტომატების კაკანსა და ბომბების გრიალში მიიწევენ წინ მტრის შესახვედრად, როცა ირგვლივ ტყვიების წივილი და დაჭრილთა გმინვა გაისმის. როცა გულსა და გრძნობას მხოლოდ ერთი მიზანი, ერთი ფიქრიღა ამოქმედებს — მტრის სიძულვილის გრძნობა. და არამარტო „ცისკარი-75"-ის მონაწილენი, თვით გორელებიც უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ იმ დღეს. კვერნაქის მშვიდობიანი მთები უცბად ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და სამხედრო მანქანების გუგუნმა შეძრა, მწვანე ბორცვები დენთის კვამლში გაეხვია, ბოლოს, როცა შეტევა დამთავრდა და მიწყნარდა ყოველივე, მათ დაინახეს კვერნაქის მთაზე ამაყად აფრიალებული წითელი დროშები — მტერზე გამარჯვების სიმბოლო.

**21 ივნისი:**

— სამხედრო-სპორტულ თამაშში „ცისკარი" ერკეთის საშ. სკოლას დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენმა ნორჩმა არმიელებმა გაიმარჯვეს წინა წლებში ბათუმში, დუშეთსა და გორში გამართულ „ცისკრის" თამაშებში.

და აი, დღეს ახალბედა „ცისკრელები" კვლავ ვეწვიეთ გორს. ვგრძნობთ, ჩვენს წინაშე მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა დგას...

ვფიცავთ, ჩვენ, ცისკრელთა მეექვსე თაობა არ შევარცხვენთ წინაპართა ღირსეულ ტრადიციებს.

ვ. ბუზუტაიშვილი,
ჩოხატაურის რ-ნის ერკეთის საშ. სკოლის მოსწავლე.

— მართალია, გორის მკვიდრი ვარ, მაგრამ დღეს აქ იმდენი რამ ვნახე და განვიცადე, რომ უცხო ქალაქში მგონია თავი. ჯერ ერთი, „ცისკრის" თამაშებზე უამრავი მეგობარი გავიჩინე, მეორეც, აქ ბევრ საიდუმლოებას აეხადა ფარდა... დაგვათვალიერებინეს სამხედრო ტექნიკა, მართალია, ტელეეკრანზე არაერთხელ

პიონერი
8
აგვისტო
1975
საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

12733



ცხინვალელი მზვერავები ზ. ხიზანიშვილი და ზ. ფარნიაშვილი.

მინახავს სადღესასწაულო ქუჩებში ჩამოვლილი სამხედრო მანქანები, მაგრამ აბა საკუთარი თვალით ნახულს შეედრება რამე? ზარბაზნები და ტანკები გაყურსულიყვნენ, დუმდნენ, თითქოს მოიწყინესო (ნეტავი სულ ასე ჩამოგტიროდეთ ცხვირპირი-მეთქი ვფიქრობდი გულში), მაგრამ აი, დაიწყო „ომი", კვერნაქის ბექობები მათმა გრუხუნმა შეძრა.

მე, როგორც ეს საბჭოთა არმიის სანიტარს შეჰფერის, ვცდილობდი თავი არ შემერცხვინა, არც მე და არც ჩემს თანაკლასელებს სირცხვილი არ გვიჭამია — ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულეთ, მე პირადად არაერთ „დაჭრილს" აღმოვუჩინე სასწრაფო დახმარება...

**ქეთინო გელაშვილი,**
გორის მეექვსე საშ. სკოლის მოსწავლე.

**22 ივნისი.**

ისევე, როგორც ზუსტად ამ ოცდაათი წლის წინათ, 1942 წლის 22 ივნისის საბედისწერო დილას რადიოში ლევიტანის მტკიცე და ძლიერი ხმა გაისმა. იგი ომის დაწყებას აუწყებდა ბანაკს...

ომი...

რაკეტებისა და ბრძოლის ხმამ მიდამო შეძრა. მთელი ბანაკი მინდორზე გამოეფინა. ტანკებმა მწყობრად ჩაიქროლეს, აქა-იქ ყუმბარებიც დაეცა. მოწინააღმდეგეებმა ცეცხლი გახსნეს. შეტევა დაიწყო. მედგრად ვიბრძოდით ყველანი. მაგრამ, დახეთ უბედურებას! ჩვენების ტანკი აფეთქდა. რამდენიმე მებრძოლი დაიჭრა, გული შემეკუმშა, შევწუხდი, დაჭრილმა წამოიწია, თავს ძალა დაატანა და წინ გაიჭრა. ვაშას ძახილით ავტომატიანმა მებრძოლებმა გორაკი აირბინეს. შედეგით ყველა კმაყოფილი ვიყავით. გორაკზე ამაყად აფრიალდა წითელი დროშა. ყოჩაღ, არმიელებო! — გაისმა დიქტორის ხმა. ამ ხმამ ბურანიდან გამომარკვია; ტაქტიკური მეცადინეობა დამთავრდა, ამ წუთში ყველამ მოვიგონეთ ჩვენი ბედნიერებისათვის დაღუპული გმირები.

**თამრიკო ჟვანია,**
ფოთის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე.

— არასოდეს დამავიწყდება 22 ივნისის განთიადი. ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, როდესაც განგაშის ხმამ გამოგვაღვიძა. შეშფოთებული წამოვხტით, ამხანაგებს გავხედე, თვალებს იფშვნეტდნენ, ხელმძღვანელის მითითებით „იარაღს" ხელი წამოვავლეთ და შტაბისაკენ გავიქეცით, ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული. გამახსენდა მამის მონაყოლი, სწორედ ომის დაწყების დღეს, 22 ივნისს განთიადი თითქმის ასეთი ყოფილა! შტაბში დავალება მივიღეთ, „მტრის" დესანტი უნდა დაგვეკავებინა. ათეული კილომეტრი გავიარეთ სანამ დესანტს აღმოვაჩენდით... 900-მდე მოსწავლემ სხვადასხვა მხრიდან შევუტიეთ ბექობს, მალე ჩვენი დროშები სამ მწვერვალზე აფრიალდა...

**გ. ნადირაშვილი,**
ქ. ახმეტის II საშ. სკოლის მოსწავლე.

**28 ივნისი.**

ამ დღეს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მზვერავები, მეკავშირეები, სანიტარულ საგუშაგოთა წევრები, მოეწყო ტურისტულ წინაღობის ზოლის გადალახვა...

— მე „ლალი" ვარ, მე „ლალი" ვარ, მისმინე, „შევარდენო"!

მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ შუამავლის ხმა გაისმა:

— გავიგონე, გავიგონე, მიიღეთ დავალება — დაამყარეთ სატელეფონო კავშირი მზვერავებთან, გადაეცით თქვენი კოორდინატები...

აზიმუტი 130 გრადუსი, „ვენერამ" იმოძრაოს ჩრდილო-დასავლეთით, „იუპიტერი" ადგილზე რჩება" — მისჯდომიან ნორჩი მეკავშირეები თავიანთ აპარატებს, ვინ იმოქმედებს ყველაზე აზრიანად? ვინ გადასცემს ყველაზე სწრაფად სხვადასხვა ცნობას თავისიანებს? იქით სანიტრები ფუსფუსებენ, „დაჭრილებს" თეთრი დოლბანდები უხვევენ... იარებს... აქეთ კი მესტენდურები პაექრობენ. მზვერავები „მოენეებს" დაეძებენ „მტრის" ტერიტორიაზე...







„არწივო", მე „ზურმუხტი" ვარ, მე „ზურმუხტი" ვარ! — გადასცემს თავის ამხანაგს თბილისელი ნორჩი მეკავშირე დოდო თუმანოვა.

ცხინვალელი „მეომრები" ასპარეზობის წინ (მეთაური ა. რომელაშვილი).

შეჯიბრი სამოქალაქო თავდაცვაში.

ბოლნისელი სანიტრები თავს დასტრიალებენ „დაჭრილს“.



ბანაკში გამოდის ყოველდღიური ხელნაწერი ბიულეტენი — „საბრძოლო ფურცელი“, სადაც ასახულია კარვების ქალაქში მომხდარი ყველა მოვლენა... ფრონტული ამბები ელვის სისწრაფით ვრცელდება ბანაკში...

— როცა ლენინს ჰკითხეს, პროფესიით ვინა ბრძანდებითო, მან უპასუხა, „მე ჟურნალისტი ვარო“. ჟურნალისტის პროფესია მართლაც რომ კეთილშობილური და საინტერესო პროფესიაა. ამასწინათ არტეკში ნორჩ ჟურნალისტთა კონკურსში გავიმარჯვე, პირველი პრიზი მოვიპოვე, მაშინ ცოტა იმედი მომეცა, რომ მიზანს მივაღწევდი, ამაში მე ძალზე მეხმარება წიგნები, აკი თქვა დიდმა ბელადმა, „წიგნი დიდი ძალა არისო“.

დიახ, ჟურნალისტობა არც ისე ადვილი პროფესიაა, მაგრამ რადგან მომანდეს „საბრძოლო ფურცლის“ რედაქტორობა, შევეცდები გავამართლო ამხანაგების ნდობა“...

დალი მაჭარაძე,
წულუკიძის საშ. სკოლის მოსწავლე.

ამონაწერი პიონერთა საკავშირო სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ რესპუბლიკური შტაბის ბრძანებიდან:

20-დან 24 ივნისამდე გაიმართა „ცისკრის“ რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი, ასპარეზობაში მონაწილეობდა ნორჩ არმიელთა 34 რაზმი. შეკრებამ ცხადყო ნორჩების ოსტატობა და მამაცობა. აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მსროლელებმა, მზვერავებმა, სანიტრებმა...

რესპუბლიკური ფინალის ყველა მონაწილეს, ნორჩ არმიელებსა და მათს ხელმძღვანელებს მადლობას ვუცხადებ, პირველ ადგილზე გამოსული გორის მეექვსე სკოლის არმიელები მონაწილეობას მიიღებენ „ცისკრის“ საკავშირო თამაშების ფინალში, რომელიც ლენინგრადში გაიმართება.

დ. სუხორუკოვი,
ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე.

4 დღის შეუპოვარმა, თავდადებულმა ბრძოლებმა გამარჯვება გორელებს მოუტანა, მაგრამ არავინ დარჩენილა იქ უკმაყოფილო, რადგანაც ნორჩებმა კიდევ ერთხელ ჩააბარეს გამოცდები ყველაზე მთავარ საგანში — სამშობლოს სიყვარულში; მათ მშვენივრად ახსოვთ დიდი მოურავის—გიორგი სააკაძის სიტყვები: „ბედნიერია, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული!“.

მირონ ხერგიანი.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.



„ცისკრის“ თამაშებში გამარჯვებული გორის მეექვსე საშუალო სკოლის გუნდი. მეთაური გ. მაჭავარიანი (მარცხნივ) და მ. ნალიკაშვილი მოპოვებული პრიზებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაკარგული ასტეროიდი

ფანტასტიკური მოთხრობა

**ელგუჯა მერაბიშვილი**

მხატვარი შადიმან ჭავჭავაძე.

ტერმინატორი — ასტეროიდზე დღისა და ღამის შესაყარი ადგილი, მკვეთრი ჩრდილებით იყო სავსე. უჩვეულო დილა დგებოდა კუროს თანავარსკვლავედში, ყავისფერი დაჰკრავდა უდაბურ ჰორიზონტს. გარეთ ვაკუუმი და ზედაბალი ტემპერატურა აღნიშნეს რადიომეტრულმა ხელსაწყოებმა. შავი ცის დასალიერთან მზის სინათლე მატულობდა, უფრო შორს კი სივრცეში მოციმციმე ზოლად იყო გაწელილი ზოდიაქოს მიმქრალი შუქი.

ასეთი ჩანდა განთიადი ასტეროიდზე მოწყობილი კოსმოსური სადგურის ილუმინატორიდან. სადგურის შორიახლო, კლდოვან სასტარტო მოედანზე, კოსმოსური ხომალდის თეთრი ცილინდრული კორპუსი მოჩანდა.

— ყურადღება!... სამზადისი ოცდაათი წამი!

— გასაღები სტარტისათვის!

ისმოდა ხმოვანი კავშირით გაცემული განკარგულებები. ეს მირას ხმა იყო, ხომალდის მეთაურისა.

გუზანმა ცხვირი ზედ მიაჭყლიტა ილუმინატორს და თვალებად იქცა.

— გაშვება!

„ასტრას“ თითქოს ნერვიულმა ცახცახმა დაუარა მთელ კორპუსში, შექანდა და ზანტად აიწია, მერე თითქოს უბიძგესო, სწრაფად გაემართა შავი ცისაკენ.

გუზანი ცოტა ხანს კიდევ ხედავდა სასიგნალო შუქითა და საქშენებიდან გამოვარდნილი ალით განათებულ სასტარტო მოედანს, მერე კი ყველაფერი კვამლმა და ავარდნილმა მტვერმა დაფარა.

ილუმინატორს მოშორდა და გულდაწყვეტილი მიაჩერდა ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს. ხომალდ „ასტრას“ ეკიპაჟის წევრები წუთის წინ აქ იყვნენ: ჭაღარათმიანი, მაღალი, ცხენისკბილება კაცი მირა... მიროსლავი, ზორზოხა დემიანი და მუდამ მომღიმარი, სელისფერთმიანი ლამაზი ქალიშვილი ფაინა...

სანამ ნახევრადმქისე სკაფანდრებს ჩაიცვამდნენ, ისინი სათითაოდ დაემშვიდობნენ გუზანს. ფაინა გულთან მიხუტებული პაწია ხელებით ერთხანს უჩუმრად იდგა მის წინ და დედობრივი მზრუნველობით, თვალებით ემშვიდობებოდა ბიჭს...

ახლა კი სადგურ „კამას“ ყველა საძრომი მჭიდროდ იყო დაგმანული ეკიპაჟის დაბრუნებამდე. ამასთან, პერიოდულად ირთვებოდა სპეციალური დანადგარი ასტერიოდის ხელოვნური მიზიდულობის ველის რეგენერაციისათვის, ეს გათვალისწინებული იყო იმ შემთხვევისათვის, თუ გუზანი ოდესმე მაინც გავიდოდა ღია კოსმოსში...

გუზანმა იცოდა, რაკი ასტეროიდს მიზიდულობის ველი სუსტი აქვს, საკმარისია ერთი ენერგიული ნაბიჯიც კი, რომ ადამიანმა გაქცევის სიჩქარე მიიღოს და სამუდამოდ მოსწყდეს ამ უდაბურ ციურ სხეულს...

ტელევიზორის ეკრანზე „ასტრა“ მოსჩანდა, ხომალდი სწრაფად მიაპობდა სივრცეს და თანდათან პატარავდებოდა. მალე იგი ისეთსავე ვარსკვლავად იქცა, როგორიც მრავლად იყო მიმობნეული კუპრივით შავი ცის კაბადონზე...

მერე ხომალდის კაბინა გამოჩნდა. ეკიპაჟის წევრებს სკაფანდრები გაეძროთ და მსუბუქ კომბინიზონებში გამოწყობილიყვნენ. ფაინა თავშიშველა მოჩანდა ეკრანზე. მკერდამდე სცემდა წინ ჩამოშლილი თმა, პაწია ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო და ისე უღიმოდა გუზანს.

— გუზან, როგორა ხარ, ხომ არ მოიწყინე უჩვენოდ? — მოისმა მისი ნაზი ხმა.

— ძიძგი-ძიძგი მამალა, შენ იცი და მაგანა, — წამღერებით ჩაულაპარაკა დემიანმაც, — უჰ, ბიჭო, რა წიგნი დაგიტოვე, მაგრამ ძალიან კი არ ეძიძგილავო, ზოგი გაკვეთილებსაც მიხედე.

მირა ტელეობიექტივს დაატარებდა ვარსკვლავიერ ცაზე, საუბრისათვის ჯერ არ ეცალა. მერე ისიც მობრუნდა და სერიოზული სახით მიაჩერდა ბიჭს.

— იცოდე, მთავარ ბორტმექანიკოსად მეგულები „კამაზე“. შენ იცი, როგორ სამსახურსაც გაგვიწევ.

ხომალდის მეთაური კვლავ ტელეობიექტივს მიუბრუნდა. ფაინა ტელემეტრიულ მოწყობილობათა ჩვენებებს აკვირდებოდა. ბიჭი აბა რას მიხვდებოდა, რომ ახლა ექიმი მისი სხეულიდან იღებდა ინფორმაციებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. გულის ჯიბეში მინიატურული კოლოფი რომ ჩაუდეს გაფრენის წინ, მაშინ კი იეჭვა, მაგრამ ამდენს როგორ წარმოიდგენდა!

ფაინა მისკენ შემობრუნდა.

— გაკვეთილები არ გააცდინო, თორემ, ხომ იცი, ჩიტი მომიტანს ამბავს. კვებისა და დასვენების რეჟიმსაც განუხრელად უნდა დაცვა. გახსოვდეს, რომ ჩვენ ახლა მედიცინის ყამირზე ვცხოვრობთ. ვარჯიშის ჩვეული კომპლექსი და წამლები შენი ერთგული მეგობრები არიან ჩემს ჩამოსვლამდე... აბა, ნახვამდის.

დემიანმაც დამშვიდობების ნიშნად ასწია ხელი. აბა, ცხვირი არ ჩამოუშვა, ხშირად ასე ერთად ვიქნებითო, ჩაილაპარაკა.

— ძია დემ, იუპიტერს ხომ მაჩვენებთ?

დემიანმა მოჩვენებითი სიმკაცრით შემოხედა.

— ეს კიდევ რა სიახლეა... უჰ, გურჯ გიაურ!,. სათამაშოებიც მომინდომე? არც კი გრცხვენია, მერვეკლასელ ბიჭს, — მერე გაუღიმა, თვალი ჩაუკრა განდობილად — ანიშნა, არხეინად იყავი, ყველაფერს მოგიხერხებო.

— ოღონდ გაკვეთილების შემდეგ, — თავის მხრივ დაუმატა ფაინამ.

ნაკვეთურში მსუბუქი ტკაცანი გაისმა, ეკრანი ჩაქრა. პლაფონის იისფერმა შუქმა თანდათან იკლო.

სეისმოგრაფი კვლავ რხევებს აღნიშნავდა. ბიჭი სავარძლიდან წამოდგა, ილუმინატორთან მივიდა და ერთხელ კიდევ გახედა უსიცოცხლო სივრცეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტეროიდი 9027 — ვეება უფორმო სხეული, კოსმოსური მტვრით დაფარული პირქუში კლდეები. იგი ერთხანს კიდევ ზანზარებდა „ასტრას“ საქშენებით გამოწვეული ბიძგით და მერე თანდათან დაწყნარდა.

პლაფონის შუქი გახუნდა, გაქრა და მაშინღა შენიშნა ბიჭმა, რომ ილუმინატორებში ფერმკრთალი სინათლე ციმციმებდა — ასტეროიდი დღის ალმაცერი შუქით იყო გაჩაღებული, კრატერების ღრმულებში და ლოდების გამოსწვრივ მკვეთრი შავი ჩრდილები იწვა.

ახლა იქ, აქედან ყველაზე შორეულ და ლამაზ პლანეტაზე, დედამიწას რომ უწოდებენ, აპრილი იდგა და თბილი წვიმებით კვირტებდამსკდარი ატმები ყვაოდა, ფოთოლთა შრიალა ფარჩეულით იმოსებოდა მიწა.

გუზანს თვალწინ დაუდგა დედამიწაზე გატარებული უკანასკნელი გაზაფხული. ქართლის ველებზე ნანახი ყანების ღელვა. შორეული მგზავრობა მამასთან ერთად, მერე კი თითქოს თავთავების მღელვარე ოკეანეში შეიჭრა მატარებელი — დასასრული არ უჩანდა რუსეთის ველებს...

იქ, კოპწია ნაგებობებით დამშვენებულ ვარსკვლავთქალაქში გაუთავებლად ღრიალებდნენ რაკეტული ძრავები და მიჰქონდათ ეკიპაჟიანი ხომალდები კოსმოსის სივრცეებში.

გუზანი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მათ აფრენას, ხედავდა ეკრანებზე კოსმონავტთა სახეებს, მათ მაგიერ განიცდიდა სტარტის წინა დაძაბულ წუთებს და თავის რიგს ელოდა... სულ სხვა განცდა დაეუფლა, როცა რაკეტის ქიმში კოსმონავტთა გვერდით დაიჭირა ადგილი... ძრავა გამაყრუებელი გუგუნით ჩაირთო, უცბად შეძრა ლითონის ვეება კორპუსი, მერე თითქოს მხრებზე უჩინარი სიმძიმე დააწვაო გუზანს, წამოწევა, ტვირთის მოშორება სცადა, მაგრამ ამაოდ. თვალი მოჰკრა, ქვევით როგორ მიცურავდა მიწა, და მიხვდა, რომ ხომალდი უკვე დიდი სისწრაფით მიფრინავდა. მხრებიდან თანდათან აეცალა სიმძიმე და აქამდე უჩვეულო სიმსუბუქე და სიხალვათე იგრძნო. ამაოდ არ ჩაუვლია წინასწარ ვარჯიშს. მერე ახლობლებზე ფიქრი მოეძალა გუზანს, მათზე, ვინც დაბლა, დედამიწაზე დარჩა და მასზე იფიქრებდა ყოველ ცისმარე „ასტრას“ დაბრუნებამდე, რომელიც შორეულ ვარსკვლავეთში მიემგზავრებოდა საექსპედიციოდ.

შიში კი არ უგრძნია გუზანს. აბა რისი შიში უნდა ეგრძნო — დედამიწაზე მას ხომ გარდაუვალი სიკვდილი ელოდა. კოსმოსში გაფრენა კი გადარჩენის იმედს აძლევდა.. თუმც ბუნდოვანი იყო ეს იმედი, მაგრამ სიკვდილს მაინც რაღაცით სჯობდა...

ილუმინატორს მოშორდა და მეორე ნაკვეთურში გამავალი კარისაკენ გაემართა. დიდი ხანია შეეჩვია ასეთ სიარულს — ნახევრად ჰაერში დაფარფატებდა. კნოპს დაადო თითი. სადღაც პნევმატიკა აშიშინდა და კედლიდან ავტომატურად გამოიწია მერხი. გუზანი მერხს მიუჯდა და მაშინვე თაღქვეშ ციკლოპის თვალივით აინთო ლურჯი შუქი. სტერეოვიზორი ჩაირთო და წამიერად ნაკვეთური ქუჩის ხმაურით გაივსო. ეკრანიდან ნაკვეთურში შემოიჭრა მანქანების სამოძრაო ტრასა და მერხიც მანქანასავით ზედ გასრიალდა...

თბილისის ქუჩა. აყვავებული გაზონები ტროტუარის გასწვრივ. ნაირფერი მანქანები. ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი მზემოკიდებული ხალხი.

დილაა. გოგო-ბიჭები სკოლისაკენ მიიჩქარიან. გუზანიც ამ ქუჩით მიდის სკოლაში. აი მისი ავტობუსიც, თუმცა იგი საპირისპირო მხრიდან მოდის. ბიჭი ტროტუარზე ადის. ფეხით სიარული არ სჯობია?



მის წინ მოსწავლეები მიაბიჯებენ: ბიჭები, გოგონები, ისევ ბიჭები. აი სკოლაც. მოასფალტებული სასპორტო მოედნები ეზოს შიგნით. ჭიშკარში ნაცნობი გოგონები შედიან... ხომ არ გამოედევნოს? იქნებ წამოეწიოს, სანამ კლასში შევლენ?... აი ის გრძელნაწნავიანი გოგო ხომ ნინოა, მისი თანამერხელი და მეგობარი, ასე მოხდენილი სიარული მხოლოდ მან იცის მთელ კლასში... აგერ გოჩაც, ელიზბარიც, ორივეს თავები გადაუხოტრავს საზაფხულოდ, ჩანთები კლასში დაუტოვებიათ და ეზოში გამორბიან სადღაბუცოდ...

ზარის ხმა გაისმა. სურათი შეიცვალა. სტერეოეკრანიდან თითქოს ნაკვეთურში გადმოდგეს მერხები. მოსწავლეები შემოცვივდნენ კლასში და, გუზანი რომ დახვდათ, არცკი გაჰკვირვებიათ, თავიანთ მერხებს მიუსხდნენ.

მხრებში ოდნავ მოხრილი, სათვალიანი ქალი შემოვიდა კლასში, მაგიდასთან გაჩერდა, ხელის უნებური მოძრაობით ჭაღარა თმა შეისწორა და კლასს გადმოხედა. ნინოს გვერდით თავისუფალი ადგილიც შენიშნა, მაგრამ არ უთქვამს გუზანისათვის, უკან რად გადამჯდარხარო, ჟურნალი გადაშალა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— ნინო, დაფასთან.

შავ დაფაზე თეთრი ხელი დაცოცავდა და ცარცის თეთრი ძაფით ფორმულებს ქსოვდა. გუზანს რვეულში გადაჰქონდა ალგებრული გამოსახულებანი და გულისყურით უსმენდა გოგონას...

„ასტრას“ რაკეტის ბოლო საფეხური მოშორდა, მაგრამ კვლავ ხომალდის კვალდაკვალ მოფრინავდა. მეთაურმა წამით მიმართულება შეუცვალა ხომალდს, საფეხურს უგანა და მცირე ხნით სიჩქარის ძირითადი იმპულსის ჩაქრობა სცადა...

ცნობისმოყვარეობას გამოხატავდა.

ამ ექსპედიციაში ქალიშვილი ფრენის მხოლოდ სამედიცინო პროგრამისათვის აგებდა პასუხს, მაგრამ მას ახლა მეყსეულად დაევიწყებინა ბიოლოგიური ჭვრეტის ტელემეტრიული ხელსაწყოები და ღია კოსმოსში იყურებოდა.

დიქტოფონები დაწვრილებით იწერდნენ ხელსაწყოთა ხმაურსა და ასტრონავტთა ყოველ სიტყვას შემდგომში ფრენის რეჟიმის შესაფასებლად.

მეთაური წარბშეკრული იდგა ავტონომიური მართვის პულტთან. დემი აღარ ჩანდა მის გვერდით. ტკაცუნობდნენ რადიოსიგნალები ყურსასმენებში, კრთოდნენ სასიგნალო კომანდების შუქოვანი ტიტრები.

—დემ, გამორთეთ გამაგრილებელი სისტემა, ტემპერატურა უკვე ეცემა კაბინაში!

— არის გამოვრთო გამაგრილებელი სისტემა! — გაისმა პასუხად დემიანის ბანი.



რაკეტის ბოლო საფეხურმა სულ ახლოს ჩაუარა ხომალდს და წინ გავიდა. ახლა იგი კოსმოსური მეხამრიდის როლს ასრულებდა „ასტრასათვის“. ბორტმექანიკოსი ფხიზლად ადევნებდა თვალს მეთაურის მანევრებს. ბოლოს, როგორც კი ხომალდის ტრაექტორიის კორექცია დამთავრდა, დამხმარე ძრავები ჩართო, რომ პირვანდელი სიჩქარე აღედგინა.

ისინი ყველაზე საშიშ ზონაში მიფრინავდნენ — ასტეროიდების ზოლში. მარსსა და იუპიტერს შორის არსებული 550 მილიონი კილომეტრის სიგანის კოლოსალური სივრცე მოხეტიალე ასტეროიდებითა და დიდი ზომის ლოდებით იყო სავსე. მათი რიცხვი მეოთხედ მილიარდს აღემატებოდა და, რა თქმა უნდა, ასეთი სიხშირე ციური სხეულებისა, რომელთა შორის უმცირესის რადიუსი კილომეტრზე ნაკლები არ იყო, მეტად სახიფათო იქნებოდა ხომალდისათვის. ამიტომ „ასტრას“ ეკიპაჟმა დროულად დაიზღვია თავი უბედური შემთხვევისაგან — საკმაო მანძილით გაუშვა წინ რაკეტის ბოლო საფეხური.

მირა და დემი ერთმანეთის გვერდით იდგნენ სამართავ პულტთან და თვალს ადევნებდნენ ხელსაწყოთა ჩვენებას. ფაინა ოპტიკურ სამზერთან იჯდა. მისი მოგრძო, ფერნაკლული სახე ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი ღიღილოსფერი თვალებით ახლა მხოლოდ დაუოკებელ

ფაინამ პირველმა იგრძნო სიგრილე, გულისპირზე შეივლო ხელი და მხრები აიწურა. ახლა იგი ხომალდის მეთაურის „ბიოლოგიურ საათს“ აკვირდებოდა. მიროსლავის პულსი 78-80 დარტყმას ასწრებდა წუთში: ეტყობოდა, მას კიდევ აღელვებდა ხომალდის შემდგომი მოძრაობის ტრასა.

დემიანი კიდულა სავარძელზე გაიშხლართა და მალე ჩაეძინა კიდეც. ისე ფშვინავდა, თითქოს დედამიწაზეა და ბუმბულის ლოგინში წევსო. ალბათ ძალიან გადაიქანცა, მან ხომ ყველაზე მეტი იმუშავა სტარტის წინ.

— მიროსლავ, როდის მომცემთ ასტეროიდის ვიდეოპანორამას? — ფაინამ მეთაურს შეხედა.

— რა მოხდა, ხომ არაფერმა დაგაეჭვა? — მოესმა მირას ხმა.

ფაინას ესიამოვნა მისი მზრუნველი კილო.

— არა, ბიჭი ჩინებულად გრძნობს თავს. უბრალოდ, მომენატრა იქაურობის ნახვა, ჩვენ ხომ კარგა ხანია მოვფრინავთ.

მიროსლავი გონების თვალით მისწვდა სადგურ „კამას“ იმ ნაკვეთურს, სადაც გუზანი ეგულებოდა. შეებრალა მარტოდ დარჩენილი ბიჭუნა, რომელსაც ახლა ვერძის თანავარსკვლავედიდან მიაქანებდა ასტეროიდი 9027. კუროს თანავარსკვლავედი აპრილში ერთი ცვალებადი ვარსკვლავით არის წარმოდგენილი დედამიწის

ცაზე, ხოლო იუპიტერი მარტის პირველი კვირიდან მაისის შუა რიცხვებამდე სულაც არა ჩანს. ბიჭს წარმოდგენა არა აქვს, რა მანძილზეა დაშორებული მშობლიური პლანეტიდან. ეკიპაჟის წევრებს ძალზე უმძიმდათ მისი მარტოდ დატოვება დიდი ხნით, მაგრამ რა ექნათ, თუ მეტი გამოსავალი არ იყო?.. ისედაც ორი წევრი აკლდა ეკიპაჟს. ისინი ავადმყოფობის გამო გამოვიდნენ მწყობრიდან და მირა იძულებული გახდა დიდი წრიდან ასტეროიდზე გავლით მომავალი ტრანზიტული ხომალდით გაეგზავნა ისინი დედამიწაზე. ხომ ვერ წამოვიდოდა ასეთ პასუხსაგებ ექსპედიციაში მხოლოდ დემიანის ამარა?

ლამის ერთი წელიწადია მათთან არის ეს სანდომიანი სახის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი და ყველას უსაზღვროდ შეაყვარა თავი. შვილივით უყვართ იგი ასტრონავტებს, განსაკუთრებით კი ფაინას. ფაინასათვის იგი შვილზე მეტია, იმიტომ კი არა, რომ საკუთარი არა ჰყავს. არა, დიდმა ამაგმა იცის ასე... ქალიშვილმა სიკვდილს გამოსტაცა კლანჭებიდან ეს ვარსკვლავთვალება, ხალისიანი ბიჭი...



მირამ ფაინას გახედა, ქალიშვილი მობუზული იჯდა.

— შეგცივდა? — გაუღიმა მირამ, — თბილი ჩაიცვი, გათბობის სისტემას ცოტა გვიან ჩავრთავთ. ენერგიას უნდა გავუფრთხილდეთ. მზე მეტისმეტად შორს არის ჩვენგან და ახლა კიდევ უფრო ვშორდებით.

— დემიანი?... არ შესცივა? — კიდულა საწოლზე ანიშნა ფაინამ.

— ფიქრი ნუ გაქვს, კოსმოსის დათვის, იცის როგორ მოაწყოს ბუნაგი...

ფაინას გაეღიმა და მაშინვე სერიოზულ კილოზე გადავიდა...

— გუზანი არ მოგენატრათ?

— ძალიან... მაგრამ საამისოდ არა გვცალია. ყოველ წუთში მოსალოდნელია ასტეროიდთან ან სხვა მოხეტიალე ლოდთან შეჯახება. სულ მალე იუპიტერის სარეზონანსო ორბიტაზე გავალთ და იქ მეტი სიმყუდროვე იქნება... რა თქმა უნდა, იუპიტერის მოახლოებამდე... აი მაშინ ვნახოთ ბიჭი.

— სარეზონანსო ორბიტა რაღაა?

მიროსლავმა არ უპასუხა. მწვანედ განათებულ კლავიშს დააწვა და მყისვე დროის მრიცხველი ატკაცუნდა. იგი მართვის პულტთან იყო დახრილი და აჯაგრული ჭაღარა თმა ფაფარივით მოუჩანდა. დინამიკებში რადიოსიგნალების მონოტონური პიპინი ისმოდა. მეთაურის ენერგიული სახე ხელსაწყოთა განათებული სკალების ათინათით მეწამულ-მწვანედ იყო დაფერილი. ბოლოს წელში გასწორდა, ერთხელ კიდევ დახედა მცირე სანავიგაციო რუკას და შვებით ამოისუნთქა.

— ფონს მივაგენით, — შესცინა ფაინას, — ცოტაც და სარეზონანსო ორბიტაზე გავალთ.

— ვერაფერი გამიგია, — ტუჩაბრეცით თქვა ფაინამ და უფრო აიწურა მხრები.

— ზოგი ასტეროიდი მზის გარშემო ისეთი პერიოდით მოძრაობს, რომ წამოეწევა ხოლმე იუპიტერს და ბიძგებს იღებს მისგან... აი ამიტომ ჰქვია სარეზონანსო.

მიროსლავი სატელევიზიო კამერასთან დაიხარა და გადაღება დაიწყო, ალბათ რამე შეამჩნია საყურადღებო. ფაინას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა მისი სიტყვები:

— ამ ორბიტით, რომელზეც ახლა მივფრინავთ, როგორც ამერიკელმა ასტრონომმა დანიელ კირვუდმა გამოთვალა, სულ ცოტა სამი ასტეროიდი მაინც დაფრინავდა მზის გარშემო, მაგრამ ახლა ერთიც აღარა ჩანს.

— ჩვენი შეეშინდათ, ალბათ, — გაეცინა ქალიშვილს.

— ისინი იუპიტერმა გაყარა გრავიტაციული ბიძგებით, რომ თვითონ ხალვათად ეგრძნო თავი. ამ წყნარ ზოლს ახლა კირვუდის ნაპრალი ჰქვია სანავიგაციო რუკაზე. შეგვიძლია მშვიდად განვაგრძოთ ფრენა, სანამ ამ კოსმოსური შარაგზის დიდი ყაჩაღი იუპიტერი არ შემოგვეყრება.. .ის ახლა აქეთ მოდის...

— მართლა?.. მერე რას გვიზამს? — ქალიშვილი უნებურად აწრიალდა.

— ჩვენ ამჟამად იმ ნაცარქექიას მდგომარეობაში ვართ, დევის ბინის ერდოზე რომ შემოჯდა, დევი კი უკვე სახლისაკენ მოძუნძულებს... ჩვენც მასავით ეშმაკობით თუ ვუშველით თავს... წარმოდგენა რომ იქონიო, მოკლედ აგიხსნი: ჩვენ ახლა მეორე კოსმოსური, წამში 11,2 კილომეტრი სიჩქარით მივფრინავთ, იუპიტერის სიჩქარე კი მზის ირგვლივ ორბიტაზე 13,05 კილომეტრია წამში. დიდი ხანი არ გაივლის, რომ წამოგვეწევა და პირველ მუჯლუგუნს გვითავაზებს, მაგრამ არ გაინტერესებს, როგორი იქნება ეს მუჯლუგუნი?.. მისი მოქმედების მექანიზმი წააგავს ფეხბურთელის მოძრაობას, როცა იგი მაკრატელას არტყამს და ბურთს გზავნის თავის თავზე გადატარებით. შეუძლია ისეთი სიჩქარე მოგვცეს, რომ გალაქტიკას გაგვაშოროს... ჩვენ მხოლოდ მის ჯალაბთან ვაპირებთ პირისპირ შეხვედრას, იუპიტერს კი... თუმცა გაგონილს ნანახი სჯობია. სანახაობამდე ჯერ ბევრი დროა დარჩენილი. ახლა წადი, დემიანი გააღვიძე, ტომარაში ჩაძვერი და დაიძინე.

— „კამას“ ნახვა რომ ძალიან მინდა!..

— შეასრულე ბრძანება. აქ ყველაფერი პირველ რიგში ფრენის პროგრამას ექვემდებარება, — მეთაურის ხმა ცივი ლითონივით ჟღერდა.

ფაინა კიდულა სავარძლისაკენ გაემართა.

„ვიდრე ძრავას ჩართავდე, უნდა დარწმუნებით იცოდე, საით არის მიმართული მისი სამანევრო ღუზა“. — ამოიკითხა გუზანმა პანელზე მიმაგრებულ წითელ შტამპზე და ხელი უშვა გასაღებს.

„ძრავებთან თამაში არ გამოდგება, ერთიც ვნახოთ და უსასრულობაში გამტყორცნონ, საით გინდა წახვიდე? ყველაფერი ირგვლივ შორეულ ვარსკვლავებად მოჩანს, მათ მიღმა კი უნაპირო და უფსკერო სიცარიელეა“, — გაიფიქრა.

მაინც რამ შემოიყვანა სადგურის ძირითად ბლოკში! აკი სასტიკად აუკრძალა მეთაურმა აქ შემოსვლა. ცნობისმოყვარეობამ აიყოლა, ვერ მოისვენა, სანამ არ მიაგნო საიდუმლო ღილაკს, რომელიც პნევმატურად კეტავდა ძირითადი ბლოკის ოვალურ კარს...

უმწეოდ მიმოიხედა. აქაც იგივე მოწყენილობა სუფევდა, როგორც სხვა ნაკვეთურებში. უადამიანოდ სიცოცხლე წართმეოდა ყველაფერს, დადუმებულიყო. დადუმებულიყო ხელსაწყოები, დამუნჯებულიყო დინამიკები, აღარც სიგნალები ისმოდა და აღარც ნაირფერი სინათლეები ენთო...

გუზანს შეეძლო ჩაერთო მიმღები ან გადამცემი რა-

ციები, მაგრამ ვინ მოუსმენდა ბნელ-უკაცრიელ ყიამეთში? ან ვინ გაიმეტებდა მისთვის თუნდაც ერთ სიტყვას?

შორეული კოსმოსური ფრენის ცენტრი დედამიწაზე დადუმებულია. ამჯერად მისი გოლიათი ანტენები მხოლოდ „ასტრას" დაეძებენ, მას ეხმიანებიან, „კამა" მათთვის უკაცრიელია.

მზის ბატარეები განაგრძობენ დამუხტვას, ბორტს გარეთ შუქი მატულობს, მზე თანდათან ახლოვდება, სადგურის ნაკვეთურებში თბილა. შეიძლება ჭადრაკით გაერთოს ადამიანი ან რებუსების ამოხსნით, ან კროსვორდებით, მაგრამ ბურთის თამაშს რა შეედრება! აქ კი, საერთოდ, უაზრობაა ბურთზე ფიქრი... თუ ბიჭი ხარ, სცადე და ითამაშე, თუ დაარტყამ და მაღლა აგდებ, მის ჩამოვარდნას ვეღარ დაელოდები, ბუმბულივით დაფარფატებს ჰაერში...

„რა ძლიერი ყოფილა დედამიწა, ყველაფერს ძალუმად იტაცებს თავისკენ. აბა იქ სცადოს ბურთმა ასეთი სიცელქე... ფაინა ამბობს, ადამიანებს სიცოცხლის მანძილზე უჩინარ საპალნედ აწევთ მხრებზე დედამიწის მიზიდულობის ძალაო, ამ მძიმე ტვირთის ქვეშ ყალიბდება საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის ძვალ-კუნთოვანი სისტემა; ადამიანის ორგანიზმის ევოლუციური განვითარება სხვა არაფერია, თუ არა ამ სიმძიმესთან შეგუებაო... საინტერესოა, მე თუ შევძლებ შევეგუო იმ სიმძიმეს მკურნალობის შემდეგ... აქ კი ჩიტივით თავისუფალი ვარ. სულ არაფერი მაწევს მხრებზე, სულ არაფერი, და ამიტომ აღარც არაფერი მაწუხებს. მაგრამ აქ როდემდის ვიფარფატო ჰაერში, მე ხომ ყოველ წუთს, ყოველ წამს ჩემი მკაცრი მშობელი დედამიწა მეძახის?"

ბიჭმა ღრმად ამოიოხრა და ილუმინატორს გახედა, საიდანაც უდაბური სივრცე მოჩანდა. მერე ჩამქრალი დიდი ეკრანის წინ გაჩერდა და კიდევ ერთხელ შემოწმა საკუთარი თავი. ეკრანზე მკაფიოდ მოჩანდა ანარეკლი: მაღალი, დიდრონთვალება, თმააბურძგნილი ბიჭი შემოჰყურებდა, ცხვირკეხიანი და ოდნავ ჭორფლიანი გუზანმა პირი მოკუმა და თითით აიწია ცხვირის წვერი. ანარეკლმაც იგივე გაიმეორა... გალამაზდა, მაგრამ არც ისე, სულაც არ უხდებოდა აფხლეკილი ცხვირი... ფაინას კი უხდება, პირდაპირ ხატავს პაწია, ნოღა ცხვირი... სახეს თავი ანება და ახლა ჯიუტ ქოჩორს მიადგა — უკან დაუწყო ვარცხნა — სავარცხელივით აეფშიკა გლუვი, უარშიო თმა.

ტანი კი უნაკლო ჰქონდა გუზანს. წლობით ნავარჯიშევს ავადმყოფობამ ვერაფერი დააკლო. თუ კიდევ ეღირსა გუზანი ფეხზე დადგომას და თბილისის ქუჩებში გავლას, მაშინ ღრმად ირწმუნებს, რომ მედიცინას მართლა შესძლებია სასწაულის მოხდენა...

„ახლა მსუბუქი ვარჯიშისა და ძილის დროა. მთავარია სპორტული რეჟიმი სწორ კვებასა და მკურნალობასთან ერთად", — გაიფიქრა.

მაისურის ამარა ვარჯიშობდა. კარგად ემორჩილებოდა მოქნილი სხეული; გულში უხაროდა, რომ ყოველ ილეთს ისე მოხდენილად, მსუბუქად ასრულებდა. ვარჯიშობდა და ფაინაზე ფიქრობდა. უკვირდა, რატომ აღარ კითხულობდა „ასტრა" სადგურის ამბებს. ნუთუ ფაინას ამდენ ხანს შეეძლო მისი, თავისი ერთადერთი ავადმყოფის უყურადღებოდ დატოვება?.. ვაითუ უჭირს „ასტრას", ძალიან უჭირს და ამის გამო ვერ დაუკავშირდა „კამას"?"

ამ ფიქრმა აღარ მოასვენა. ვეღარ მოითმინა. რადიოგადამცემი ჩართო და ის თეთრნიჟარებიანი ყურსასმენები მოირგო, მეთაური რომ ხმარობდა... „ასტრას" მოძებნა სცადა. მადლიერების გრძნობით გაიხსენა ზორზოხა დემიანი, რომელმაც ასე კარგად შეასწავლა რადიოგადამცემთან გასაღებით მუშაობა. ახლა გუზანს თავისუფლად შეუძლია მოკითხვის ბარათიც გადასცეს ეკიპაჟს ამ ნიშნებით და მისი პასუხებიც მოისმინოს... თუმცა რა საჭიროა ნიშნები, როცა ხმის მიწვდენაც შეიძლება...

— „ასტრა"... „ასტრა"... მე „კამა" ვარ... მე „კამა" ვარ... როგორ გესმის, მიპასუხე... გადავდივარ მიღებაზე... „ასტრა"... „ასტრა"...

ყურსასმენებში ხამუშად ისმოდა ვარსკვლავური ქარითა და რადიაციული სარტყელებით გამოწვეული რადიოშეშფოთებანი, მაგრამ ამ სუსტი ჩქამების ფონზე მაინც გამოკვეთილად იგრძნობოდა გოლიათი, ხმაურიანი პლანეტის ძალუმი სუნთქვა... ეს იუპიტერი იყო, მოყვითალო დიდი ვარსკვლავივით რომ ჩანდა შავ ცაზე...

ყველაზე მკაფიოდ პლანეტის ხმაური 13,5 მეტრ ტალღაზე ისმოდა. იგი ხან ჩანჩქერის შორეულ ხმაურს, ხან მღელვარე ოკეანის ზავთს წააგავდა. ეს იყო, როგორც მირა ძია ამბობდა, ამ იდუმალებით მოცული პლანეტის ერთ-ერთი გამოცანა იმ მრავალთაგან, რომლებიც დღემდე აღელვებენ დედამიწის საუკეთესო მეცნიერებს.

ხომალდ „ასტრას" კოორდინატები სადღაც აქ იყო საძებარი, ის ხომ იუპიტერის მიმართულებით მიქროდა.

— მე „კამა" ვარ.. .მე „კამა" ვარ...

ვინ იცის, ახლა საით მიაქანებდა ამ ძახილს რადიოტალღები... ბგერები, ალბათ, ამაოდ ეხლებოდნენ მეტეორული წვიმებისაგან ჩოფურა კოსმოსურ უდაბნოებს, უსიცოცხლო პლანეტებს, ასტეროიდებს და არსად არავინ იყო მისი გამგონი.

გუზანმა ეს მერამდენედ გადასცა სიგნალები და მიღებაზე გადავიდა... კვლავ შორეული რადიოშეშფოთებანი ტკაცუნობდნენ ყურსასმენების ლამაზ ნიჟარებში. შხუოდა დროდადრო ატმოსფეროს შფოთიანი ოკეანე გიგანტურ პლანეტაზე...

და ანაზდად სუსტი, ძალიან სუსტი სიგნალები მოისმა მიმღებში, გასაღებით გაშვებულს ჰგავდა... წერტილებისა და ტირეების წყვეტილი ნაკადი...

სიგნალები ორი-სამი წამის ხანგრძლივობით გაისმა და მაშინვე ჩაქრა. ნუთუ სმენამ უღალატა? თუმცა რატომაც არა, შესაძლოა, „ასტრა" ელაპარაკება დედამიწას, მიმართული ანტენით ელაპარაკება და ამიტომ ისმის ასე სუსტად. საინტერესოა, რას ითხოვს „ასტრა" დედამიწისაგან, რა უჭირს?..

სულ გადაავიწყდა რეჟიმიც და ძილიც. ყურსასმენების თეთრი ნიჟარები ორივე ხელით მიიწება ყურებზე და სმენად იქცა. მაგრამ რადიომიმღები დუმდა. ბიჭი ამაოდ ეძებდა კოსმოსის ბნელ და ცივ სივრცეში გაბნეულ სუსტ ძახილს...

ასტრონავტები ილუმინატორებთან იდგნენ და მონუსხულები მისჩერებოდნენ კაშკაშა ყვითელ მნათობს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა და უსაზღვროდ დიდდებოდა. ტელეობიექტივებში გარკვევით მოჩანდა პოლუსებთან ჩადრეკილი ვეება სფეროიდი, რომელიც მოყვითალო, მოწითალო, მოლურჯო და მოყავისფერო ზოლებად ვარვარებდა და ამ მოკაშკაშე ფერად დისკოზე დროდადრო შავი ურჩხულებივით დაღოღავდნენ უზარმაზარი ლაქები.

მიროსლავის დასვენების დრო იყო, მაგრამ მეთაურმა ვერ შეძლო დაძინება. თვალღიად იწვა კიდულა საწოლზე. ავტონომიური მართვის პულტთან დემიანს ეჭირა ადგილი. ფაინა გადაღებას აწარმოებდა და მამაკაცებს მალიმალ ესმოდათ მისი შეძახილები. გულჩათხრობილ დემიანსაც დაეტყო მღელვარება, ნერწყვს ყლაპავდა და ტლანქი ხელისგულით ითელავდა გაუპარსავ ნიკაპს.

– ღმერთო ჩემო, ეს რა ამაზრზენი სანახაობაა?.. გველეშაპები, ნამდვილი გველეშაპები დათარეშობენ ღრუბლებს ზემოთ! — ფაინას ხმა უთრთოდა.

— აი, აღმოჩენაც ამასა ჰქვია, — სცადა გაღიმება დემიანმა. — ეგ გველეშაპები კი არა, თანამგზავრების ჩრდილებია. იუპიტერი რის იუპიტერია, რომ ერთიმეორეზე უკეთესი თორმეტი მთვარე მაინც არ ჰყავდეს. მათგან ყველაზე დიდები ოთხია: იო, ევროპა, განიმედი და კალისტო. ეგ, ბოლოს რომ გაიარა, იო იყო. იგი სიდიდით მესამე თანამგზავრია, მაგრამ ყველაზე დიდ ჩრდილს ტოვებს სფეროიდზე, რადგან ყველაზე ახლოს არის მასთან.

ანაზდად მაგნიტომეტრიული ხელსაწყოები შეშფოთდნენ, დემიანს სიტყვა გაუწყდა... სწრაფად ჩართო დამხმარე ძრავები, მაგრამ მანევრი რამდენადმე დაგვიანებული აღმოჩნდა...

მეყსეულად მძლავრი ბიძგით შექანდა ხომალდი, შეჯანჯღარდა და თითქოს განზე გაიტყორცნაო. კიდულა საწოლში ჩაძინებული მიროსლავი ხომალდის ჭერზე შეცურდა და საათის ქანქარასავით იწყო რხევა, გამოეღვიძა და მაშინვე იკითხა:

— რა მოხდა?

— ტროაელებმა ჩაგვიარეს, — უპასუხა დემიანმა დაბნეული ღიმილით.

ფაინა მიხვდა, რაზეც იყო ლაპარაკი. მას ადრევე აუხსნეს, რომ მზე-იუპიტერისა და მესამე მცირე ზომის სხეულის ურთიერთობაში გრავიტაციული მიზიდულობისა და ცენტრიდანული ძალებით იქმნება ლიბრაციის — სამერყეო წონასწორობის წერტილი. ასეთ წერტილში მოხვედრილი ასტეროიდები, როგორც წყნარ ყურეში ქარიშხლით შერეკილი ნავები, ისე გრძნობენ თავს. ლიბრაციის წერტილებში იუპიტერს თხუთმეტი ასტეროიდი ჰყავს მოქცეული და მათ თავის ორბიტაზე დაატარებს მზის გარშემო. ისინი ორ ჯგუფს შეადგენენ. ერთი ჯგუფი წინ უძღვის მრისხანე პატრონს, მეორე უკან მოჰყვება. ახლა პირველმა ხუთეულმა ჩაუარა „ასტრას“. ჩანს, ხომალდი უკვე მიუახლოვდა იუპიტერის გრავიტაციულ ზოლს.

ზოოლოგიური ტელემეტრიის პანელთან სიმშვიდე სუფევდა, ოღონდ გუზანის „საათის“ ისარი შეუთავდა ცოტას.

— ჩართეთ ასტეროიდ 9027-ის ვიდეოპანორამა, — გამოსძახა ჯერ ისევ საძილე ტომარაში მონებივრე მირამ, — თორემ მალე სამაგისოდ ვეღარ მოვიცდით.

ფაინა მაშინვე ტელეეკრანთან გაჩნდა. ეკრანი მყისვე ჩაირთო და შავი ცის ფონზე მზით განათებული „კამა“ გამოიკვეთა მთელი თავისი სილამაზითა და სიდიადით. შემდეგ შიგა ნაკვნეთურებში შეიხედა ტელეთვალმა.

„ახლა დედამიწის დროით საღამოს ხუთი საათია, გუზანს დასვენების დრო აქვს ჩემს მიერ შედგენილი რეჟიმით“, — კმაყოფილებით გაიფიქრა ფაინამ, მაგრამ იმავ წუთს წარბი შეიკრა და ლამის იყვირა...

„კამას“ ორივე ნაკვეთური ცარიელი იყო. იატაკზე მიმობნეული წიგნები და რვეულები კიდევ უფრო აძლიერებდნენ ქალიშვილის წინათგრძნობას. აშკარა იყო, რომ სადგურში რაღაც მოხდა.

— დემ, რას ნიშნავს ყოველივე ეს? — სასოწარკვეთილმა გასძახა დემიანს, მერე მიროსლავს შეხედა და უარესად შეშინდა: მამაკაცების სახეებზეც შეშფოთება ამოიკითხა.

უცბად სადგურის ბლოკის კარი გაიღო და ნაკვეთურში სახეალეწილი ბიჭი შემოვარდა. დაბნეული ჩანდა.

— კი მაგრამ, ხომ ავუკრძალე, — ჩაილაპარაკა მირამ და მაშინვე ტუჩი მოიკვნიტა. დაელაპარაკეო, ფაინას ანიშნა.

— გუზან, როგორა ხარ, საყვარელო? — მოისმა ფაინას ნაზი ხმა.

ბიჭს შუბლი გაეხსნა, მაგრამ ჩანდა, რაღაცით იყო შინაგანად შეძრული.

— გამარჯობათ, ფაინა... ძია დემ, ძია მირა... მე კარგადა ვარ, თქვენი დარდი კი ძალიან მქონდა... ვეღარ გავუძელი და რადიოგადამცემით დაგიწყეთ ძებნა... რომ იცოდეთ, რამდენი გეძებეთ...

ხომალდმა ბიძგი იგრძნო, ასტრონავტები ერთმანეთს შეეხალნენ.

— შეწყვიტეთ სეანსი, — ბრძანა მირამ და წამოდგა, — გრავიტაციულ ზოლში შევედით.



— გევედრებით, ერთი წუთით! — ფაინა კვლავ ბიჭს მიუბრუნდა: — გუზან, რა დაგემართა, არ მეტყვი?... შენს სახეზე ვკითხულობ, რომ რაღაცამ ძალიან აგაღელვა. ნუ დამიმალავ, მითხარი რა შეგემთხვა.

გუზანი თვალებანთებული მიაჩერდა ეკრანს.

— თქვენ მანდ მარტონი არა ხართ, იცით? იუპიტერზე სხვებიც არიან: მე უკვე მივიღე მათგან რადიოსიგნალები... გასაღებით გადმოცემული ღია ტექსტი... ჩვენი, დედამიწის ენაზე...

— რას ამბობ, გუზან... — ხომ არ გაგიჟდიო, უნდა ეთქვა ფაინას, მაგრამ ენას კბილი დააჭირა.

დასასრული შემდეგ ნომერში

**გვიხმობ წინ— გმირობისაკენ, კომკავშირულო ბილეთო!**




# მართვეები წყვეტენ ფრენას

მუზეუმის მოკრძალებულ სიჩუმეში არაერთხელ მინახავს და გულს ბაგაბუგი დაუწყია.

მინახავს სტალინგრადში, მოსკოვში, თბილისში.

შუშის ქვეშ სათუთად გაშლილი, ტყვიით გახვრეტილი და უმანკო სისხლგადავლებული.

ჭაბუკის გულში მოხვედრილ ტყვიას ჯერ ეს პატარა ბილეთი მოუძებნია და მერე განუგრძია თავისი ვერაგული გზა სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულისაკენ.

მებრძოლ ამხანაგებს მიწისათვის მიუბარებიათ ჯარისკაცი, ხოლო კომკავშირული ბილეთი სათუთად შეუნახავთ, შემდეგ კი სხვა ძვირფას რელიკვიათა შორის მუზეუმებში მიუჩენიათ ბინა.

რა ანდამატური ძალა ჰქონდა ამ პატარა ბილეთს, რა პრივილეგიას აძლევდა ის ახალგაზრდას?

— სამშობლოსათვის პირველ რიგში თავგანწირვის პრივილეგიას.

ჩვენი სამშობლოსათვის ავადმოსაგონარი ომის ქარცეცხლიან დღეებში, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წარმოთქმულა:

— კომუნისტები და კომკავშირელები, წინ!

სამშობლომ, პარტიამ იცოდნენ, ვის უნდა დაჰყრდნობოდნენ უპირველეს ყოვლისა.

რამდენი კომკავშირელის გმირობა გადაეცემა ლეგენდად მომავალ თაობებს!

კომკავშირის აღზრდილმა რამდენმა ქართველმა ჭაბუკმა დაიმკვიდრა უკვდავება!

კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით მათ გმირობას, კვლავ და კვლავ გვიხმობენ წინ მათი საქმენი საგმირონი: ახალი და ახალი ფაქტებით ივსება ჩვენი ცოდნა ამ გმირების ცხოვრებაზე.

ისინი, რომლებიც დღეს პირველად იღებენ ხელში ალისფერ მანდატს, განსაკუთრებული გულისყურით ეცნობიან გარდასულ გმირულ დღეთა ამბებს, ხვდებიან გმირების ახლობლებს, კითხულობენ მათ წერილებს.

რამ აქცია გმირებად ეს ჩვეულებრივი ჭაბუკები და ქალიშვილები? რა სულიერი საზრდოთი აღიზარდნენ ისინი, რა იდეალებით ცოცხლობდნენ, რა სურვილები ჰქონდათ, რა ოცნებები დარჩათ განსახორციელებელი?

თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მერვეკლასელები: მერაბ მარანელი, მაია წეროძე, მალხაზ ბერიაშვილი, ირინე ჩიკვილაძე კომკავშირში შესასვლელად ემზადებოდნენ, როცა სკოლაში მოიწვიეს საბჭოთა კავშირის გმირის — შოთა გამცემლიძის დედა, ნინო გამცემლიძე.

აი რა გაიგეს მათ გმირზე:

გამრჯე და გულმართალი ბიჭი ყოფილა შოთა. წარჩინებული მოსწავლე, მტკიცე და გაბედული. 1940 წელს დაამთავრა თბილისის 30-ე საშუალო სკოლა. ფრონტზე მოხალისედ წავიდა. მესანგრე გახდა. მონაწილეობდა ორშის, მინსკის, ვოლკოვისკისა და ლვოვის განთავისუფლებაში. გმირული ბრძოლისათვის ქვეგანაყოფი, რომელშიც შოთა შედიოდა, დააჯილდოეს წითელი დროშისა და სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენებით.

უშიშარმა მებრძოლმა მალე დაიმსახურა დიდების ორდენი.

გამარჯვების წელს ის პრუსიაში იბრძოდა, ამ პერიოდში დედას სწერდა:

„ძვირფასო დედა! დღედაღამ ბრძოლაში ვართ. მისსავე ტერიტორიაზე შეუბრალებლად ვულეტთ ფაშისტ ქოფაკებს, რომლებმაც ჩვენი დამონება მოისურვეს. სიტყვას გაძლევ, რომ არ შეგარცხვენ და ისე ვიბრძოლებ, როგორც ეს შეშვენის

თიანეთის რაიონის კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი ე. მიდელაური კომკავშირის მანდატს გადასცემს თამარ ჟურაშვილს.



„უძლეველი საბჭოთა გვარდიის მებრძოლს".

სულ მალე დამტკიცდა, რომ ეს ლიტონი სიტყვები არ იყო.

20 იანვარს კენიგსბერგის მისადგომებთან გაჩაღებულ ბრძოლაში გამცემლიძის ათეულის მებრძოლები დაწინაურდნენ. მაგრამ მიზნისკენ მიმავალი გზა მტრის ტანკებმა გადაუღობეს. ერთი ტანკი შოთამ დაწვა, მეორეს კი ვერაფერი დააკლო ტანკსაწინააღმდეგო ჭურვმა. მაშინ შოთამ მიიღო გადაწყვეტილება — საკუთარი სიცოცხლის ფასად გზა გაეხსნა ამხანაგებისათვის. ხელყუმბარები მკერდზე მიიკრა და მტრის „ვეფხვისკენ" გაიჭრა.

მძლავრი აფეთქების ხმამ ამცნო მებრძოლებს, რომ გზა თავისუფალი იყო.

22 წლის ჭაბუკმა უკვდავებაში გადაინაცვლა.

... მოსწავლეები გულისყურით ისმენდნენ გმირობის ამბავს.

თითოეული ეკითხებოდა თავისთავს:

— მე შევძლებდი?

ლოყები ასწითლებოდათ, გული მძლავრად უცემდათ. ლეგენდადქცეული ჭაბუკის გმირობა რეკავდა, გმირობისაკენ უხმობდა მშვიდობიანი, 70-იანი წლების ქალ-ვაჟებს, რომლებიც სულ მალე, რამდენსამე თვეში პირველად აიღებდნენ ხელში კომკავშირულ ბილეთს.

... ეს დღეც დადგა.

მერაბ მარანელი, მაია წეროძე, მალხაზ ბერიაშვილი, ირინე ჩიკვილაძე სახეგანათებულები ბრუნდებოდნენ კომკავშირის რაიონული კომიტეტიდან, სადაც მათ სამამულო ომის ვეტერანებმა საზეიმოდ გადასცეს კომკავშირული ბილეთი.

მოსწავლეები აგროვებენ მასალებს მათ თანასკოლელზე — ვასილ პეტრიაშვილზე, რომელიც მკერდით გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევის ლულას.

გმირული სულისკვეთებით იზრდებიან ჩვენი მოსწავლეები, ისინი, რომლებიც დღეს ხდებიან ახალი ნიმუშის კომკავშირული ბილეთის მფლობელნი, მშობლიური ილიჩის სახე რომ ამშვენებს.

საუკეთესოდ სწავლობენ, შრომითი სემესტრისათვის ემზადებიან, კითხულობენ, ოცნებობენ ცაზე, გმირობაზე... ესტაფეტა გრძელდება.

მართვეები სწავლობენ ფრენას...

ნარგიზა მგელაძე.

ფოტო ა. კავკასიძისა



დღეიდან გურამ ფარადაშვილი და მაია კაციტაძე სახელოვანი ლენინური კომკავშირის წევრები არიან.

# 50 არტეკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერთა რესპუბლიკა

**ჩვენს სახელოვან პიონერულ რესპუბლიკას 50 წელი შეუსრულდა, მოწიფულობის ხანაა თითქოს, მაგრამ არტეკის მიმართ ამ თარიღს განსაკუთრებული აზრი აქვს, არტეკი მუდამ იყო, არის და იქნება ნორჩი, რადგან არტეკი ბავშვების მოღიმარი სახეებია, ზღვა სიხარულია. არტეკი — დასვენებაა, ჯანმრთელობაა, წრთობაა. არტეკი — ინტერნაციონალური ძმობის ნამდვილი კერაა.**

## სულ მეხსომება

დიდი სიხარული მომიტანა წლევანდელმა გაზაფხულმა — საქართველოდან წარგზავნილ რამდენსამე თანატოლთან ერთად მონაწილეობა მივიღე ნორჩ კორესპონდენტთა საკავშირო შეკრებაში, რომელიც საერთაშორისო პიონერულ ბანაკ ,,არტეკში" გაიმართა.

შეკრება ორ აპრილს გაიხსნა და თორმეტ მაისს დამთავრდა. თითოეული დღე საინტერესო და საგულისხმო იყო. ბევრი რამ ახალი გავიგე, ბევრი მეგობარიც შევიძინე. ვინ მოთვლის, ამ ორმოცი დღის განმავლობაში რამდენი ვიქტორინა, მათემატიკური კონკურსი თუ სპორტული შეჯიბრება მოვაწყეთ. ვმართავდით შეხვედრებს გაზეთების რედაქციებთან და კორესპონდენტებთან. განსაკუთრებით დამახსომდა ყველა საბჭოთა პიონერის საყვარელი გაზეთის ,,პიონერსკაია პრავდას" რედაქციასთან შეხვედრა.

ზეიმით აღვნიშნეთ 9 მაისი. ამ დღეს ყველაზე აქტიური პიონერები ვიცავდით უცნობი მეზღვაურის ძეგლს. ვიდექი ნომერ პირველ საგუშაგოზე და გულში ფიცს ვაძლევდი სამშობლოსათვის დაცემულ გმირებს, ფიცს ვაძლევდი ყველას, ვისთვისაც მამულის სიყვარული უმაღლესი და უწმინდესი გრძნობაა.

მთელი სიცოცხლე მეხსომება ,,წითელი ყელსახვევების რესპუბლიკაში" გატარებული დღეები.

მაია ჭოლოკავა,

თბილისის მე-10 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## ,,გაიდარის ბილიკი"

არტეკთან ახლოს, ზღვისპირას აღმართულია მთა აიუ-დაღი, არტეკელებს ძალზე უყვართ ამ მთაზე ასვლა. აქ ხშირად აწყობენ ლაშქრობას. მთაზე ისე ვერ ახვალ, რომ არ გაიარო — „გაიდარის ბილიკი". გაივლი მას და მთის მწვერვალზე მიგიყვანს. აქ უშველებელი ლოდი დევს. მასაც „გაიდარის ლოდს" ეძახიან. არტეკში ყოფნისას არკადი გაიდარი ამ ბილიკს მიჰყვებოდა ხოლმე. უყვარდა აქ ლოდზე ჩამოჯდომა. მის პატივსაცემად დაერქვა ეს სახელწოდება.

ლოდზე ასულებს თვალწინ სა-

ოცარი სანახაობა გადაგვეშალა. მთელი სანაპირო მოჩანდა, არტეკის კორპუსები, მთები, ზღვა, ცის დიდი თაღი, მზის სხივებით განათებული. ლოდზე წითელი ვარსკვლავია გამოხატული. სწორედ აქ შევიკრიბეთ დელეგატები რათა ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი შთაბეჭდილებები, გამოცდილება.

დელეგატები წამოსვლის წინ მეგობრობის მინდორზე შევიკრიბეთ, აქ „მუხა ფოსტალიონთან" ჩვენი სურვილები ბარათებს ვანდეთ და დავუტოვეთ მომავალი შეკრების დელეგატებს. არტეკში გატარებული დღეები საუკეთესო მოგონებად დარჩება მთელ ჩემს ცხოვრებაში.

გია გოგუაძე,

თბილისის 128-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## * ჩვენი არტეკი *

არტეკი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის გარეთაც. ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი წერდა: არტეკი ნამდვილი სამოთხეა, მიწიერი, რეალური, სადაც ბავშვების ფიზიკურ წრთობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწავლას, ცოდნის გაღრმავებას.

ჰიტლერელმა ბარბაროსებმა გაძარცვეს, დაანგრიეს არტეკი, მაგრამ ყირიმის გათავისუფლების დღიდან ბანაკმა აღადგინა მუშაობა. დღეს არტეკი 7 კმ-ზეა გადაჭიმული, სადაც 10 პიონერთა ბანაკია, იქ ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის 25 ათასი პიონერი ჩადის. არტეკში თავისი არსებობის დღიდან 500 ათასი საბჭოთა პიონერია ნამყოფი.

არტეკში გატარებული დღეები ჩემთვისაც დაუვიწყარი იქნება. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით ვხვდებოდით სამამულო ომის მონაწილეებს. ხშირად დავდიოდით ექსკურსიებზე, ვიყავით სევასტოპოლში. დავლაშქრეთ მთა აიუ-დაღი, ყოველდღე რაღაც ახალი, საინტერესო მოგველოდა. კუბელ პიონერებთან შეხვედრისას კონცერტი გავმართეთ, ჩვენი ეროვნული ცეკვები უნდა წარმოგვედგინა, მე ,,ქართული" და ,,მთიულური" ვიცეკვე, რისთვისაც რაზმეულის ლაურეატის წოდება მომანიჭეს.

კიდევ რით იყო არტეკი საინტერესო? იქ მრავალი მეგობარი გავიჩინე; იაკუტელი, ყაზახი პიონერები, არტეკელი პიონერები ჩვენი სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბთან დავამეგობრე.

გოჩა ზეიკიძე,

დუშეთის რაიონის, ჭოპორტის სკოლის VII კლასის მოსწავლე.

თ ა მ ა რ ჩ ხ ა ი ძ ე

## დიდის ვალი

ცისკრის ანთებულ სანთლებად
მე ცხოვრებაში გამყვება,
თქვენი ნათელი საქმენი,
თქვენი კეთილი სახენი,
მასწავლებლებო!
ვიქნები ზღვაში თუ ცაში,
ან თოხ-წერაქვით მთაში,
გავხდე სწავლული, მაშინც
მუდამ მედგებით მხარში,
მასწავლებლებო!

და თუ მერხს ვტოვებ, ვშორდები,
თქვენ ვერა, ვერ დაგშორდებით;
ჭაბუკი ვიყო,
ჭაღარა ვიყო,
ჭარმაგი ვიყო,
ოცნებით გულში ჩაგიკრავთ,
შორით თავს დაბლა დაგიკრავთ
კრძალვით და რიდით.
მადლობა დიდი,
მასწავლებლებო!

## მჭადის ნატეხი



ერთმა ბიჭუნამ მჭადის ნატეხი
ძირს დააგდო და დაადგა ფეხი.
თქვა: — აღარ მინდა, აღარა მშია,
ხომ არ წავიღებ კვლავ უკან, შინა!
უცებ მოესმა: — შენს პაპის პაპას
ოფლი უღვრია ბატონთან საწყალს,
მოვნატრებივარ მჭადის ნატეხი,
შენ კი, უმადლოვ, დამადგი ფეხი!
ბიჭუნამ მყისვე მჭადს ხელი სტაცა,
დაანამცეცა მრავალ ათასად...
ჩიტებმა კენკეს ლუკმა ალალი
ჭიკჭიკითა და ჰარიარალით!



ა კ ა კ ი ბ ე ლ ო ვ ა ნ ი

## მასწავლებელს

ვანოს, ვარდოს, ლალის, ლადოს
ხშირად ჰქონდათ საუბრები:
დედას ბაღი ვაჩუქოთო! —
აი, მათი საჩუქრები:

— მინდა დედას ვარდის ბუჩქი
ვუსახსოვრო სიყვარულით,
სამაისოდ დაებედოს
სიამე და სიხარული.

— მე ურთხელის ნერგი მინდა,
მწვანე ტყე რომ ეფერება,
რათა დედას დაებედოს
სიმაგრე და დღეგრძელება.

— მე კი მინდა ვუსახსოვრო
ტიტა, ზისცვრით დანამული,
რათა ღამით დაღლილ დედას
ჰქონდეს ძილი სამური.

— მე ბზის ბუჩქით მივულოცავ,
შიგ მზის შუქიც ჩავაწანი, —
მოუშლელი მშვიდობაა
დედის ბაღი მარადმწვანე!

დედას ესმა, გაიხარა:
,,განა ჯაფით დავიღლები?
ჩემი ბაღი — ოჯახია,
თქვენ კი — ჩემი ყვავილები!"

# ჯოჯარი

ნიკო კეცხოველი

მხატვარი გიორგი ქლიბაძე.

ღამე ტყის პირას ათიეს, თუმცა ჩან-ჩხალოს თავკაცებმა გულით სთხოვეს, ჩვენთან ამობრძანდით, კარგად მოგასვენებთო.

ჯისდიამ დაარწმუნა, რომ მუშაობის დროს ასე სჯობია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კარგი ამინდებიაო.

თავკაცებმა მხრები აიჩეჩეს:

— როგორც გენებოთ, ნასწავლი ხალხი ხართ, ჩვენზე მეტი იცით, — ცოტა ირონიაც ჩანდა ამ თქმაში. — მაგრამ ჩვენებურ კაცს არ შეშვენის სტუმარი კარში დატოვოს.

— მაშ კარგი, — უთხრა გიორგიმ, — მე, მინდია და ლელა თქვენთან წამოვალთ, ბიჭები კი აქ დარჩებიან, დილაზე ადრე უნდა წავიდნენ...

სიამოვნების ნაპერწკალმა იელვა მასპინძელთა თვალში და გაუძღვნენ თავიანთ სტუმრებს.

ის-ის იყო ცა ალისფრად შეიღება, როდესაც ტყის მცველი ილიასი თავზე წაადგა ბიჭებს. გივი და გოგია წყალს ადუღებდნენ, ცეცხლთან ტრიალებდნენ, დანარჩენები პირს იბანდნენ, გამართული ჩანთები მწკრივად ეწყო...

— თქვენც ხის ტოტზე გძინებიათ, ასე ადრე როგორ ადექით...

— ბეშქენ ოპიზარი გაკვირვებულა, ნეტა რა ხელმა დაწნა გოდორიო... შენ რა, ჩვენი ადგომა გაგიკვირდა? გაუთენებლივ დადიხარ ტყე-ტყე... — შეეშველა ამხანაგებს ვაჟა. ილიასს ესიამოვნა ვაჟას პასუხი.

— აბა, რა ვქნა, ტყეს მოვლა უნდა, ქვეყანა მაგაზე ალაპარაკდა და ჩვენამდეც ჩამოაღწია ხმამ.

საუზმის შემდეგ აიკიდეს ჩანთები, მოიმარჯვეს წერაყინები. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადს — ჭვანის ხევს აჰყვნენ, სოფელი ახალდაბა მხარმარცხნივ დარჩა, ლამაზი სახლებიდან ადგილ-ადგილ ბოლი ადიოდა. სახლის მზვარეზე გალებად ასხმული თამბაქოს ფოთოლი იყო გაფენილი. შორიახლო, აკაფულ ხეზე კონებად შეკრული სიმინდის ჩალის ზვინები იდგა. ჩალა ძირში იყო მოჭრილი. ესეც იმაზე ლაპარაკობს, თუ რამდენად უჭირს აქაურ კოლმეურნეს საქონლის საკვები.

სოფლის ირგვლივ ტყე საგრძნობლად იყო შეთხელებული. ჭოროხის მუხა ჭარბობდა. ხშირად მარტო იგი იყო, მაგრამ ფოთოლი შეხრუკული, შემხმარი ჰქონდა. საქმე ის არის, რომ აჭარის ხეობა დასავლეთ საქართველოს ხეობებისაგან მკვეთრად განსხვავდება, იგი არც მთლიანად კოლხურია და არც მესხური, ადგილ-ადგილ თუ მცენარეული საფარი კოლხურ იერს ატარებს, ადგილს კი წმინდა მესხური და შავშეთ-ერუშეთის ქსეროფიტები ბატონობენ. ბაძგიანი ნაძვნარების მეზობლად გაბატონებულია მუხნარი და ქსეროფიტული ბუჩქნარი. განსაკუთრებით თვალში ეცემა კაცს ტყისცოცხანა, რომელსაც საკმაო ფართობი უჭირავს. ძალიან ხშირად ტყისცოცხანა ფრიად თავისებური ქსეროფიტია. იგი შეკრულ დაჯგუფებებს ქმნის. უფრო ხშირად ყოფილ ართვინის ოლქში იზრდება, აჭარის წყლის ხეობას კარგა ღრმად გასდევს.

აჭარული კურდღლისცოცხა ნახევრად ბუჩქია, ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლისა ძლივს იქნება, ფესვის ძირიდან მრავალი პატარა ტოტია ამოზრდილი და გარეგნულად ცოცხსა ჰგავს, ალბათ ამიტომაც უწოდეს ტყის ცოცხანა.

როდესაც ეს მცენარე ნატყევარ ადგილს იჭერს, იქ ძირითადი ნიადაგი უკვე ჩამოშლილი და ჩამორეცხილია და მერე კი თვით ცოცხანა ისე მრავლად იზრდება, რომ მთლიანად ფარავს ნიადაგს. ეს გვარიც ჩვენში ხმელთაშუა ზღვიდან არის მოხიზნული.

ყურადღებას იპყრობდა ტოტებშეცვლილი მუ-



ხები. ესენი სანეკრე მუხებია. ეს თავისებური ზამთრის საკვები თივაა[1] ხის ნეკერი ასე ფართოდ არსად არის გამოყენებული... მართალია, მთათუშეთში შავი არყის ნეკერია ხმარებაში, მაგრამ არა ასეთი რაოდენობით.

ზაფხულის განმავლობაში ახალ ყლორტს, რომელიც მუხაზე განსაკუთრებით სწრაფად და ფოთოლმრავლად იზრდება, ჰკაფავენ, კრავენ პატარ-პატარა კონებად და აშრობენ, დგამენ ზვინებად, ისე, როგორც სიმინდის ჩალას, ან სხვენში ინახავენ.

ჭვამას ნაპირს აჰყვნენ.

— აქ ეკლესიის ნანგრევები თუ არის სადმე?

— საყდარი და ნანგრევები არ არის, მაგრამ ნასაყდრევი კია ახალდაბის მინდორ-ტყეში. სოფელ ცეკვაში და ტაკიძეებში ნავენახარიც არის, ამ ადგილებში ეხლა ბუჩქნარია. სხვაგან ასეთი სახლები უფრო მეტია.

— ბევრი სოფელია რაიონში?

— ბევრზე ბევრი, — უპასუხა სხარტად ილიასმა.

ცოტა კიდევ აივაკეს, შუროს თავზე მიზიდული იყო ხის მორები.

— ილიას, ეს რა არის?

— ხე-ტყეა, — თქვა ილიასმა და თვალები დახარა, იცოდა, რასაც ეკითხებოდნენ.

— ხე-ტყე რომ არის, ვხედავ, მაგრამ...

— ჯანსაღი ხეა, ჩემო ერეკლე, ამაზეა ნათქვამი, მუცელს აძორებ, ქორია, აღორებ, ღორიაო, დამამზადებლები რაკი ტყეში შევლენ, აღარას დაგიდევენ.

— შენ ისე ხომ არ მოგდის, პატარძალმა კოკა გატეხა და ნეტავი ბავშვი მყავდეს, იმას დავაბრალებდიო.

— ერეკლე, ილიასს რას ერჩი, გუშინ, სატყეოს უფროსი რას გვეტრაბახებოდა?

— ??

— ხე-ტყის დამზადება 287 კუბმეტრი გვქონდა და 1400 კუბმეტრი დავამზადეთო. რის ხარჯზე? ალბათ, აი ასეთი ხის ხარჯზე, ხომ?

— განა შეიძლება აჭარისწყლის ხეობაზე ხე-ტყის დამზადება სამრეწველო მიზნით? არავითარ შემთხვევაში. აგერ, გახედე ირგვლივ მთებს, როგორ ჩამოხრიოკებულან, თავისებური ბუნებრივი პირობებისა და ადამიანის უყაირათობის შედეგად.

— სატყეოს უფროსი ლაპარაკობდა, ოცი ჰექტარი აკაცია გავაშენეთო.

— ხეკაკუნას კაკუნი ბევრი გამიგონია, მაგრამ მისი გათლილი ხე კი არ მინახავს, — წაიდუდუნა ილიასმა.

— ეგ რაზე თქვი?

— იქ, სადაც ტყე უნდა გაშენდეს, ტყეს ნაკლებ ვაშენებთ. იმაზე ვამბობ. ...ვრგავთ აკაციას, ძირს, ჭალებში, იქ მურყანიც თვითონ წამოვა...

— მერედა, რატომ არ იღებ ხმას...

— ეჰ, ჩემო ვახტანგ, ჭიაყელა გველს ეტოლებოდა და შუაზე გაწყდაო.

ერთ მუხასთან გაჩერდნენ.

ფოთლები უფრო პატარა ჰქონდა.

— ეს ალბათ იმიტომ, რომ გვალვიანი წელიწადია.

— არა, აგერ უფრო ნესტჭარბზეც ასეა.

— ამიტომ უძახიან ამ მუხას ჭოროხის მუხას, გუშინ არ გვითხრა მინდიამ!

მალე ასცდნენ მუხიანის ზოლს, რომელშიც ფიჭვიც ერია, ერთი აქაური მუხა ქართულ მუხას ჰგავდა, ნაყოფი უყუნწოდ იჯდა, მაგრამ განსხვავდებოდა კიდეც მისგან, ჯერ ერთი, ზრდით, მეორე — ფოთლებით.

მუხიანში ადგილ-ადგილ საკმაო ველები ტყისცოცხას ეჭირა, დაბალ, თითქმის მიწაზე გართხმულ ბუჩქს. სწორედ ასეთ კურდღლის ცოცხიანში უფრო დიდხანს შევჩერდით, ყველა ბალახოვანი მცენარე ავიღეთ.

— კარგად მიათვალ-მოათვალიერეთ, ასეთ ადგილებში ან მის ახლომახლო, ხეშიშველიც იქნება, — დამიბარა მინდიამ.

— აქეთ, აქეთ — ერთი ხრიოკიდან ჩამოსძახა ვაჟამ. თან ხელს რომელიღაც ხის ზროს ადებდა.

სამივეშ გაჰკრეს ზევით და ოფლში გაწურულები მიადგნენ ერთი სამი-ოთხი მეტრი სიმაღლის ხეს, რომელსაც ტყავისებრი ხერხკბილა ფოთლები და საგველებში შეკრებილი მოყვითალო ყვავილები ჰქონდა.

— მაშ ეს არის ხეშიშველი?

— ხემარწყვას რომ ეძახიან, სწორედ ეს არის.

— თუ ეს გაგახარებდათ, მომყეთ, გაჩვენებთ, — ჩაერია ილიასი.

და მას შემდეგ, რაც საჰერბარიო ნიმუშები აიღეს, წინ წასულ ილიასს გაჰყვნენ. გადაიარეს მშვენიერი ნაძვნარი, რომელშიაც ბაძგნარი ძლიერად იყო განვითარებული, ზოგან გავლაც კი უჭირდათ. გაიარეს უხრავიანში, ამ თავისებურ, ჩვენებურ დამახასიათებელ ტყეში. უხრავის ტყე ასეთი ლამაზი ხეებით ჯერ არ ენახათ.

მალე გავიდნენ ისეთ ადგილას, სადაც თითქოს მუხიანის საზღვარი იყო, და აი, აქ ერთ ბექობის ძირას გაღიმებული ილიასი იდგა ხუთიოდე ხემარწყვასთან.

— ესენი შარშან შევნიშნე, მაგრამ მათი სახელი არ ვიცოდი.

უკვე მოშუადღევდა. მთის ნაკადულის პირს ჩაიმუხლეს. ქარი ამოიღეს.

— აქ კარგი ვეძაა, იმას მოვიტან, ქედაში რომ ვეძას ბოთლებში ასხამენ, კოკტაურს რომ ეძახიან, ყველა წყალს სჯობიაო, ეს კი იმასა სჯობია, — თქვა ილიასმა და ბუჩქებს მოეფარა.

ბიჭებმაც ამოალაგეს მწვანეზე სანოვაგე.

მალე ილიასმა ჭიქაში ჩამოასხა ვე-



[1] შურო — ხის დასაცურებელი.



ძა და გაუწოდა ვახტანგს. მან ფრთხილად მოსვა, დააჭაშნიკა.

— მართლა წააგავს კოკტაურს...

გემრიელად ისაუზმეს და აჰყვნენ ნაძვნარის ნარევ ტყეს. ზოგან ჩრდილიანში წყავი და შქერი ხვდებოდათ, გაბაწრული მიდიოდნენ და როდესაც ერთ ბაძგიანს გააღწიეს და ველობზე გავიდნენ, ის-ის იყო სული მოითქვეს, რომ ტყიდან დედა შველი გამოვარდა. ადამიანები რომ დაინახა, უცბად შედგა, მაგრამ ეს იყო წუთით, შეკრა ლამაზი კამარა და თავი მისცა ტყეს, მაგრამ საქმე ის იყო, რომ შველი ჯერ ისევ ველობზე იმყოფებოდა, კამარა არც კი გაეკეთებინა, რომ იმავე შავი ტყიდან ენაგამოგდებული მგელი გამოვარდა, გამოვარდა და იმანაც თითქოს დაამუხრუჭაო, უკანა თათებზე შედგა, წინები ჰაერში აიტაცა და აამოძრავა, სირბილის ინერცია არ დაკარგა.

აი, აქ მოხდა საოცრება, ილიასმა ელვის სისწრაფით იძრო წელში გარჭობილი ცული და ესროლა მგელს, მგელმა იყმუვლა, გულაღმა გადავარდა, ვახტანგმა ისკუპა და თავისი წერაყინის წვერი შუბლში ჩასცხო.

— ამ მგლისაგან არის ამოგდებული სოფელი ცეკვა. რამდენი თხა-ცხვარი მოუსპო!

— მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო. იქ რომ თხა ცხვარს იტაცებდეს, აქ შველს არ გამოუდგებოდა!

— ბიჭებო, ერთი ოცი წუთის საქმე არა გაქვთ რამე? — იკითხა ილიასმა.

— რა მოხდა?

— მგელს გავატყავებ. ამაში ჯილდო მერგება.

— მალე მგელიც საჭირო იქნება ჩვენს ტყეში. მგელი ხომ თავისებური სანიტარია!

— რა ელვის სისწრაფით ეცი და ჩასცხე წერაყინი.

— ეხლა კი ვნანობ. ეგ ატავისტური გამოვლინება იყო ალბათ.

ილიასმა თავისი საქმე მოათავა და მალე პერანგას წვერზე იყვნენ. პერანგა თითქმის ორი ათას ასი მეტრია, მწვერვალი და ზურგი გაშიშვლებულია და ველობებია, საძოვრებად არის გადაქცეული. ჯერ ხინოს მიმართულებით გასწიეს, მაგრამ მალე ილიასის რჩევით პირი იბრუნეს და დასავლეთით დაეშვნენ, ჩამოათავეს მდელოები, შეერივნენ ტყეს და გამოიარეს მუხნარები, ხრიოკები და აი, აქ წააწყდნენ ერთ შესანიშნავ მოვლენას — ტერასულ მეურნეობას, რაც ასე დამახასიათებელია სამხრეთ საქართველოსათვის.

მინდვრებს თავსა და ბოლოს დატოვებული აქვს ტყის საფარი ზოლი, სწორედ ისე, როგორც არაგვის ხეობაზე იციან.

ერთ ადგილას ძელებით იყო ქვედა მხარე მომაგრებული. ამას საბას ლექსიკონში კადონი ეწოდება, ეს იგივეა, რომ ქვედა მხარე, ოროკოს შუბლი, ქვით ამოაშენო, ძელებს ხმარობენ იქ, სადაც ქვა შორს არის და ხე-ტყე ახლოა. უმთავრესად ახოში რაც ხე იჭრებოდა, უმეტესობა კადონის საკეთებლად იხმარებოდა.

მაგრამ ზოგან ახო მიუტოვებიათ, რადგან ტყის ზონაა და ტყე უნდა გავაშენოთო, ტყე არავის გაუშენებია და ახო „უპატრონოდ" არის, კადონი და საერთოდ ოროკო დაშლილა, მიწა ირეცხება და წვიმის წყალს მიაქვს, თითქმის მთელი ნიადაგი წყალია. ახოს განუწყვეტელი მოვლა სჭირდება.

ყანის თესვაც ნიადაგის ფენის მოვლაა. ყანა ნიადაგს მაინც ინახავდა.

მზე ჩასვლაზე იყო, ბიჭებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ფერდამ უკვე გზისკენ დაიდო ნეკნი, ფრიად დამრეცდა, მაგრამ წერაყინებს იყენებდნენ და გვერდი-გვერდ ჩამოდიოდნენ, თავს ძლივს იჭერდნენ. მუხლები ეკეცებოდათ, ნაფეხურებს მტვერი ასდიოდა, ვაჟას მიუხაროდა ამ ფერდაზე.

— ცნობილი ბოტანიკოსი, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ლიდებური წერს, იმერეთში ფილირეა იზრდებაო და დღემდე კი იგი არავის უნახავს, ჩაგიყვანთ და გზის პირას გაჩვენებთ. — თქვა ვაჟამ.

ბიჭებს თან ეეჭვებოდათ, თანაც იცოდნენ, რომ ვაჟა ეგრე ადვილად არ დაიტრაბახებდა.

ბოლოს წყავის ბუჩქთან ჩამოჯდა და

თვალებგაბრწყინებულმა დაუწყო ცქერა ამხანაგებს, რომელთაც დამრეც ფერდობზე ჩაიმუხლეს და თავს ძლივს იკავებდნენ, ძირს მიცურავდნენ. ძირს კი აჭარისწყლის ჰესის აკვედუკი ჩანდა.

ბოლოს მიაქციეს ყურადღება ვაჟას თვალების ციმციმს და მივიდნენ ბუჩქთან.

— ფილირეას სულ ექვსი სახეობაა ცნობილი. ყველა მათგანი ხმელთაშუაზღვეთშია გავრცელებული. მარადმწვანეა. ფოთლები ტყავისებრია, ეს სახეობა ჩვენში ცნობილი იყო ყირიმიდან, სადაც ბაღ-პარკებში აშენებდნენ. ველურად არ იყო ნანახი.

გარდა ამისა, აჭარის მთებში, პერანგაზე რომ ვნახეთ, ძალიან საყურადღებოა აჭარული არყი, მეცნიერულად მას მედვედევის არყს უწოდებენ. იგი მთის არყია, იზრდება 1400 მეტრიდან 2200 მეტრი სიმაღლეზე. ეს უმთავრესად მიწასგართხმული მცენარეა. ზევიდან ქვევით არის ჩამოწოლილი, 1400 მეტრის სიმაღლეზე, მისი ღეროს სიგრძე 13-15 მეტრია, ხოლო სუბალპებში 2000-2300 მეტრ სიმაღლეზე არა უმეტეს 5-6 მეტრისა. იგი თავისებურად ცოცხლობს, ძველი ზრო კვდება, მისი ახალგაზრდა ნაწილი კი მიწაში ფესვს იკიდებს და თითქოს მაღლიდან ქვევით ჩამოდისო. ყინვისა ეშინია და დეკასავით თოვლქვეშ კარგად იზამთრებს. თუ ზვავმა გადახადა თოვლის საფარი, ხმება.

ასე რომ, საქართველოში ორი ენდემური არყი გვაქვს: მეგრული არყი სამეგრელოს მთებში და მედვედევის არყი აჭარა-გურიის მთებში. კავკასიისათვის კი ენდემურია რადეს არყი, რომელიც მთავარ კავკასიონზე გვხვდება.

პონტური მუხაც ტიპიურია აჭარის მთებისთვის ისე, როგორც გურიის მთამაღალში, იგი 1200-2000 მეტრის სიმაღლეზე ქმნის წაწოლილ, გართხმულ რაყებს. ზოგჯერ თითო-ოროლა ეგზემპლარი წამოიწევა ხოლმე და ზოგიერთი ეგზემპლარი ხუთი მეტრი სიმაღლისაც კი იზრდება, გართხმული ღერო ზოგჯერ 12 მეტრი სიგრძეა. ესეც დასავლეთ საქართველოს მთების ენდემია. გვხვდება გურიის მთებშიც.

— მაშ დღეს ძალიან ნანადირევი მიგვაქვს, ხომ?

— კიდევაც.

— მინდიას გავახარებთ.

თქვეს და დაეშვნენ გზისკენ.

— რატომ აქამდე არა თქვი, ვაჟა?

— ვაითუ ველარ მენახა და შევრცხვებოდი.

რაკი გზაზე ჩამოვიდნენ, გამხიარულდნენ და პირი აღმა ქნეს. იცოდნენ, მანქანა სადმე ახლო შეხვდებოდათ.

## «კომკავშირული ოქტომბერი» მოგზაურობს

✻

კომკავშირი

სოფლის

სკოლას

✻

# მანავი ახლოს არის ლესელიძის ქუჩასთან

### მეგობრობის მარშრუტს გავყევით

— თბილისი—საგარეჯო — გიორგიწმინდა — ანთოკი — მარიამჯვარი — თოხლიაური და იქვეა მანავიც. არ შეგეშალოთ, იმ სოფელში ორი საშუალო სკოლაა: ჩვენი მეგობრები მანავის მე-2 საშუალო სკოლაში სწავლობენ...

— გახსოვთ ჩვენი შეხვედრები თბილისში, შრომის ზეიმზე?

— გახსოვთ ჩვენი შეხვედრები მანავში?

— გახსოვთ ჩვენი შეხვედრები რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლ „ლალატზე“? — მოხსნიან ხოლმე გუდას პირს და ჰყვებიან თბილისის 67-ე სკოლის ბავშვები დაუსრულებლად... იხსენებენ შეხვედრებს, საუბრებს, დელეგაციების გაცვლას, ურთიერთსტუმრობას.

მანაველებიც ალალი გულით ამბობენ: თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე კარგი მეგობრები გვეგულებიან... ძალიან გვიყვარს მათთან შეხვედრები. ჩვენი მეგობრების სკოლა იმ სკვერის პირდაპირ მდებარეობს, სადაც საბჭოთა კავშირის გმირის, კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი დგასო...

... ისმენთ მანაველ და თბილისელ მოსწავლეთა მონათხრობს და ორივეს ერთი სათაურის ქვეშ აერთიანებთ: „ქალაქისა და სოფლის პიონერთა მეგობრობა“.

### სკოლა გორხანის უბანში

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა სტეფანიშვილმა და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მარინე ხმიადაშვილმა ბიძაშვილები — მანანა და ეთერ ბორაშვილები დამისახელეს. ისინი ჩვენი მეგობრობის დაწყებამდე იცნობდნენ ზურაბ ბიბილურსო; კოჯორში ერთ ბანაკში ისვენებდნენო. წარმოიდგინეთ, როგორ გაიხარეს, როცა თბილისელები მანავში ჩამოვიდნენ. ბანაკური სიმღერები გაიხსენეს და სოფლის კლუბში გამართულ კონცერტზე შეასრულესო.

მანაველებმა 1971 წლის შემოდგომა მოიგონეს, როცა მათ პირველად ესტუმრა თბილისის 67-ე სკოლა, 400-მდე მანაველი მოსწავლე მინდვრის ყვავილებით მოფენილ გზაზე ცოცხალ ღობედ რომ აღიმართა.

მაშინ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნანა ავაქიშვილი იყო. ნანა უკვე კომკავშირელია, მაგრამ ამ მეგობრობისა დღემდე ერთგული დარჩა. ჩვენი სტუმრები ვინ არ ყოფილან: ჩაილურელები, ყანდაურელე-



19733

ბი, კაკაბელები... მათთან სპორტულ მოედანზე შეჯიბრებებიც გაგვიმართავს, მაგრამ დედაქალაქელი ბავშვების ჩამოსვლა ჩვენთვის სულ სხვა იყო... მათი ჩამოტანილი „ქართვლის დედის“ ბიუსტისაკენ და მეგობრების ნაჩუქარი წიგნებისაკენ მიმახედეს...

მანაველებმა ბევრი რამ იციან თანატოლ ქალაქელ ბავშვებზე. იციან, რომ ზურაბ ბიბილური კარგი მოსწავლეა, ბევრს კითხულობს და ერთნაირი გულმოდგინებით ეკიდება ყველა საგნის შესწავლას. ზურაბს მანაველებისათვის თავისი დღის რეჟიმი და სწავლის შემდეგ თავისუფალი დროის გამოყენების „საიდუმლოც“ გაუზიარებია. ასე უთქვამს: დღის რეჟიმია ჩემი მბრძანებელიო! ეს რომ გაიხსენეს, ეთერმა დასძინა: — დღის რეჟიმი მეც კი მაქვს შედგენილი, მისი ზუსტად დაცვა მინდა, მაგრამ სოფელში ათასი საქმეა, სწავლის გარდა თუ ხელი საქმეს არ წაჰკარი, მანავაში ზარმაცის სახელი დაგივარდება... ეთერს 67-ე სკოლელებთან მეგობრობაში დედაქალაქელი პიონერების გულთბილობა მოსწონს:

— როცა ჩავდივართ, იციან რითი გვასიამოვნონ: თავიანთი სკოლის გარდა დედაქალაქიც გაგვაცნეს, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიები გვიჩვენეს, გვითხრეს, გაკვეთილების შემდეგ სხვადასხვა წრეში აქ დავდივართ სამეცადინოდო, რუსთაველის თეატრის სპექტაკლზეც მიგვიპატიჟეს, იქ მათი სკოლის კურსდამთავრებული ზინა კვერენჩხილაძე გაგვაცნეს.

როცა „მანავის მთაწმინდაზე“ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად შინმოუსვლელთა მემორიალი გავხსენით, პირველნი ჩვენი თბილისელი მეგობრები დავპატიჟეთ...

— 10 ივნისიდან ჩვენს სკოლაში შრომისა და დასვენების ბანაკი გაიხსნა. ბანაკის უფროსი ჩვენი პიონერხელმძღვანელი ლია ყორღანაშვილი იყო. ლია ხელმძღვანელთან არ გვწყინდება ყოფნა. იგი ყველაფერს ძალიან საინტერესოდ აკეთებს, — ჰყვებოდა ნანა ავაქიშვილი.

## ზაფხული მანავაში

„მწვანე ოპერაციის“ მონაწილე, როგორც მანაველებმა თქვეს, 5 ბრიგადაა, მათ შორის ერთი — თბილისის 67-ე სკოლელებისა. აი, რა მიამბეს მანაველმა პიონერებმა:

— თითო კლასი თითო რგოლს წარმოადგენს. დღეში ოთხ საათს მუშაობენ. ჩამოსვლის სურვილი ბევრსა ჰქონდა, მაგრამ 67-ე სკოლელებმა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაშიც გაგზავნეს თავიანთი ბრიგადები.

მანავის საბჭოთა მეურნეობაში რაზე ვიმუშავეთ? ვაზის გაფურჩვნა-ახვევაზე. ბრიგადები სიმინდსაც თოხნიდნენ. მინდორში ქალაქელებიც გამოგვყვნენ. ცოტა კი გაუჭირდათ, მაგრამ შემდეგ თანდათან შეეჩვივნენ. 15 ჰექტარ ვენახს, 25 ჰექტარ სიმინდის ყანას ვამუშავებთ.

მანავში საქმეს რა გამოლევს. სკოლის წინ ვაკეზე სულ ვაზია გაშენებული. ხელმარცხნივ დაუყვები თუ ხელმარჯვნივ, საბჭოთა მეურნეობის ზვრებია გადაჭიმული... აქ ხშირად შეხვდებით მზია გაბრიელაშვილს, ნიკო კუპატაძეს, გოჩა ჭიშურაშვილს, ნოდარ არუნაშვილს, როზა ბაზერაშვილს, ნუგზარ ოქრუაშვილს, მზია აზარაშვილს, თამარ გოგოლაურს, დავით გოგუაძესა და ყველას — მთელ რაზმეულს.

შრომის გარდა სპორტია მათი საყვარელი საქმე. სკოლის სასპორტო მოედანზე თუ სოფლის სტადიონზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. მანავის კულტურის სახლის სცენაზე კი კონცერტები ეწყობა. აქ იმართება კონკურსები „ვინ სწორად, ვინ უკეთ“, გონივრული გართობა-თამაშობანი, საბავშვო ატრაქციონები.

. მანაველი ნორჩი მეაბრეშუმეების შესახებაც იციან თბილისის 67-ე სკოლელებმა. ამ საქმეში განსაკუთრებით VII-ა კლასელები გამოირჩევიან. მანანა ხატიაშვილი 3 გრამ აბრეშუმის ჭიის მურს უვლიდა, მანანა სტეფანიშვილი, კობა იმერლიშვილი, ზიზილა ბორაშვილი, მანანა დაბახიშვილი ორ-ორ გრამს. რაზმეულის საბჭოსთან ნორჩ მეაბრეშუმეთა რგოლი მუშაობდა. 15 პიონერი იყო მასში გაერთიანებული. მათ ამ საქმეში კარგი გამოცდილება აქვთ. მანავში იცნობენ საუკეთესო ნორჩ მეაბრეშუმეებს: დათო და ალექსი ხმიადაშვილებს, და-ძმა ნიკო და თამილა კუპატაშვილებს... მათ შესახებ იციან თბილისის 67-ე სკოლის რაზმეულშიც.

— დილაადრიან მოგვქონდა თუთის ფოთოლი, დღეში სამჯერ ვკვებავდით ჭიას. მინდვრის გვირილებსაც ადრე ვაშრობდით, ცახად სატაცურის ფორჩხებიც გამოვიყენეთ, — ჰყვება მანანა სტეფანიშვილი და კვლავაც ნატრობს თბილისელების — მერი ტორაძის, მანანა დარჩიას, ცირა მაღალაშვილის ჩასვლას მანავში



თბილისელთა ტრიო: ციალა ქარუმიძე, ლია კრიხელი, ია წიკლაური,



კონცერტი მეგობრებთან. სცენაზე არიან ლ. საგაშვილი. მ. გორაშვილი და ე. გორაშვილი.

## მეგობრებს ბევრი რამ აქვთ გასაზიარებელი



მეგობრები ერთად დაესწრნენ სპექტაკლს რუსთაველის სახელობის თეატრში.

ბევრი კარგი საქმე კეთდება მანავის მე-2 საშუალო სკოლის რაზმეულში. მთელ სოფელს ახსოვს მათ მიერ მოწყობილი მანიფესტაცია ჩილელი პატრიოტების მხარდასაჭერად, კაკაბეთში ღამის ბინდში ჩირაღდნებით გადასვლა, სკოლაში რადიოკვანძის გაყვანა, სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიების თვითნაკვეთი ხელსაწყოებით შევსება, ლაშქრობა მანავის ციხეზე, შეკრებები: „გმირები არა კვდებიან“, „ნიშნები თვითონ ლაპარაკობენ“, საინტერესო წიგნების განხილვა, რაზმეულის საბჭოს წევრების ლია პასკაშვილის, ნანა ავაქიშვილის, ბაბულია ქევხიშვილის, დალი მახარობლიძის, მანანა ჯიმშელაძის, დალი ფეიქრიშვილის, ნანა მათიაშვილის, ალექსანდრე ჩრდილელისა და სხვების სიყოჩაღე რაზმეულის საქმიანობაში, ინტერნაციონალური მეგობრობის, მხიარულთა და საზრიანთა, აგრეთვე სასპორტო კლუბების მუშაობა...

რაზმეულის საბჭოს ალბომში ასეთ ჩანაწერებს წაიკითხავთ:

„წლეულს კვლავ ვიყავით თბილისის 67-ე სკოლაში. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს. გავეცანით სკოლის რაზმეულისა და კომკავშირული ორგანიზაციის სამუშაო გეგმებს...“

„ძლიერი, გამბედავი, მარდი ბევრი მოიძებნება ჩვენს რაზმეულში. განსაკუთრებით ჭიდაობით არიან მთელი სოფლის ბიჭები გატაცებული. პიონერი უშანგი ოქრუაშვილი წლეულს უკვე საქართველოს პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. დათო სირბილაშვილის, ნიკოლოზ კუპატაძის, თემურ დაბახიშვილის, მალხაზ ზალიკაშვილის ოცნებაა მათი სოფლის სიამაყის, ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონის, სკოლის კურსდამთავრებულის გურამ გოგოლაურის გზას გაჰყვნენ“.

ახლა სოფლის კულტურის სახლში გამართულ საღამოს „ალო, ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“ არ იკითხავთ? მთელი სოფელი იქ იყო. იმ საღამოზე ბევრმა მოსწავლემ იყოჩაღა ხატვაში, ცეკვაში, მხატვრულ კითხვაში, სიმღერაში, რისთვისაც საჩუქრებიც მიიღეს და სკოლის სიგელებიც...

— იცით რა მომეწონა მანავში? — მითხრა თბილისის 67-ე-სკოლელმა მანანა დარჩიამ, — პიონერებისა და კომკავშირელების მეგობრობა, თითქმის სულ ერთად რომ არიან. მომეწონა სოფლის კლუბთან ჩამოყალიბებული ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „მანავი“, მასში პიონერები და კომკავშირელებიც მონაწილეობენ. მომეწონა ფაქიზად მოვლილი სკოლის შენობა.

ჩვენი სკოლის პიონერთა ოთახში მანაველებმა განსაკუთრებით ერთი კუთხე გამოარჩიეს: „ეს ყველამ უნდა იცოდეს“. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ აქ პიონერთა ორგანიზაციის ისტორიაზე გვაქვს მასალები შეკრებილი, მისი წაკითხვა რაზმეულის ყველა პიონერს შეუძლია. მანაველებს ჯართის შეგროვების ერთთვიურში გამარჯვებისათვის კომკავშირის კიროვის რაიკომის საჩუქარი — კინოაპარატიც ვუჩვენეთ; დიდი სამამულო ომის მონაწილე მასწავლებლის, პატივცემული ვენერა კალანდაძის ფრონტული დღიურების შესახებაც ვუამბეთ...

მანაველები 67-ე სკოლელთა საქმიანობიდან განსაკუთრებით კურსდამთავრებულებთან კავშირს გამოარჩევენ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე მოიკითხავენ ხოლმე სტენდს „გწამდეთ, კვლავაც გასახელებთ“. მასზე სკოლის იმ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაა გადმოცემული, ვისაც შრომა დიდებისა და ღირსების საქმედ უქცევია. მათ თავიანთ ალბომებში გადაიტანეს ამ სკოლის კურსდამთავრებულთა ჩანაწერები.

განსაკუთრებით ორ ჩანაწერს უფრთხილდებიან.

„... ნათქვამია, მშობლის ამაგს შვილი ვერასოდეს გადაიხდისო. იგივე შეიძლება ითქვას სკოლაზე, მის აღმზრდელ-პედაგოგებზეც. სწორედ მათი დახმარებით ხდება მოზარდის ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქისა და პიროვნებისა. ჩემმა პედაგოგებმა ჩამინერგეს რწმენა, სიყვარული და ჯერ კიდევ მოსწავლეს მასწავლეს შეცნობა მშვენიერებისა. უიმისოდ ხომ ჩემი ცხოვრება უფერული და უბრალო იქნებოდა!“ — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზინა კვერენჩხილაძე.

„... სიყვარულით ვიგონებ სკოლის კედლებში გატარებულ ბავშვობის დღეებს, ამაგდარ აღმზრდელებს, რომლებმაც ცხოვრების ფართო გზაზე გამოგვიყვანეს, შეგვაყვარეს სიკეთე და მომავალი დაგვილოცეს... მე დღესაც ასე ვამბობ: „ჩემი სკოლა!“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის უფროსი ლაბორანტი, სკოლის კურსდამთავრებული ოქრომსმედალოსანი თინათან კაკუშაძე.

67-ე სკოლის კურსდამთავრებულებს ხშირად შეხვდებით — ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში, სამედიცინო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში...



მანავის II საშ. სკოლის პიონერები მალხაზ და მანანა დაბახაშვილები ათვალიერებენ თბილისელი მეგობრების ნაჩუქარ ახალ წიგნებს.

— თითოეულმა მათგანმა ჩვენს თვალწინ ჩააბარა ტრადიციულ შეკრებაზე აღმზრდელ სკოლას საკუთარი ცხოვრების პატარა მონაკვეთის ანგარიში... გადავწყვიტეთ, ჩვენც ასე გავაკეთოთ, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებთანაც ასეთ კონტაქტებს დავამყარებთ, — ამბობენ მანაველი მოსწავლეები.

— გვეკითხებიან, როგორ გავამართლეთ ის ნდობა, რომელიც პიონერებს კომკავშირში მიღებისას გამოგვიცხადეს, შემდეგ როგორ ვუფრთხილდებით ჩვენი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ტრადიციებს; რა ადგილი დავიკავეთ ცხოვრებაში, რა წვლილი შეგვაქვს იმ დიად საქმეში, რომელსაც კომკავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ემსახურება და, რომელსაც კომუნიზმის მშენებლობა ჰქვია? — მანაველებს ახლაც თვალწინ უდგათ 67-ე სკოლის კურსდამთავრებულთა შეკრების ის საზეიმო დღე, როცა ამის შესახებ აწ უკვე მუშა თუ მსახიობი, ექიმი თუ პედაგოგი, ინჟინერი თუ მილიციის მუშაკი თავისი შრომითი საქმიანობის შესახებ წარმოდგენილ პატაკში თავისსავე შეკითხვას ხმამაღლა რომ უპასუხებდა. ამ დროს გაიცნეს საგარეჯოდან ჩამოსულებმა რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები — ზაურ რუსია, ეთერ სოლომონია და სხვები, შეაგროვეს დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებში თუ საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშრომელი კაცის საამაყო პროფესიების ამსახველი მასალები.

განსაკუთრებით დაახსომდათ რუსთაველის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლ „ღალატზე“ დასწრება.

ის საღამო-შეხვედრა ლამაზ მოგონებად გაჰყვათ მანაველებს. 67-ე სკოლა ხომ თავიანთ მეგობრებთან ერთად ესტუმრა სპექტაკლში მონაწილე ზინა კვერენჩხილაძეს.

თეატრში მანაველთა თვალწინ გაიმართა დიალოგები რეჟისორსა და მოსწავლეებს შორის, მსახიობებსა და დამსწრეთა შორის. დამსწრენი კი ორი სკოლის მოსწავლეები იყვნენ...

... მანაველები და თბილისელები უამრავ საგულისხმო ეპიზოდს იხსენებენ... ყოველივე ამას სოფლისა და ქალაქის პიონერების მეგობრობა ჰქვია. ასეთი მეგობრობა უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ორივე სკოლის რაზმეულის ცხოვრებას.

**ნ. ფაილოძე.**

ფოტო **ვ. გორისენკოსი.**

---

ადმირალი არაბულად „ზღვის მბრძანებელს“ ნიშნავს. თანამედროვე მნიშვნელობით ეს ტერმინი XII საუკუნეში ვენეციასა და გენუაში იხმარეს. ყველა ქვეყანაში (თურქეთის გარდა) იგი ფლოტის უფროსის, საზღვაო მხედართმთავრის აღმნიშვნელია. სამხედრო წოდებულება „ადმირალი“ რუსეთში პეტრე პირველმა დააწესა შემდეგი მნიშვნელობით: „გენერალ-ადმირალი“, „ადმირალი“, „ვიცე-ადმირალი“ და „კონტრ-ადმირალი“. 1940 წლის 7 მაისს ეს წოდებულება შემოიღეს სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტში ფლოტის 1-ლი და მე-2 რანგის ფლაგმანის ნაცვლად. არსებობს ამ წოდებულების ხუთი ჩინი: სსრკ ფლოტის ადმირალი, ფლოტის ადმირალი, ადმირალი, ვიცე-ადმირალი და კონტრ-ადმირალი.

მარშალი. ეს ტერმინი სამხედრო ისტორიაში უხსოვარი დროიდან არსებობს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ყოველთვის ერთი და იგივე როდი იყო. შუა საუკუნეებში საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში იგი თანამდებობას აღნიშნავდა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში წოდებულება „მარშალი“ გაუქმდა, მაგრამ ნაპოლეონმა აღადგინა. სსრ კავშირში სამხედრო წოდებულება „საბჭოთა კავშირის მარშალი“ 1935 წელს დაწესდა.

გენერალისიმუსი (ლათინურად — ყველაზე უფროსი) მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში უმაღლესი სამხედრო წოდებულებაა. ეს წოდებულება მიენიჭებოდა ომის დროს რამდენიმე არმიის, უფრო ხშირად — მოკავშირე არმიათა მხედართმთავრებს, ზოგჯერ კი გამეფებული დინასტიის ოჯახის წევრებს, აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეებს. მაგალითად, 1569 წელს საფრანგეთის მეფემ კარლოს XI გენერალისიმუსის წოდებულება მიანიჭა თავის 18 წლის ძმას, შემდეგში ჰენრიხ მესამედ წოდებულ მეფეს. რუსეთში პირველი გენერალისიმუსი იყო ვოევოდა ა. შეინი. ეს წოდებულება მას პეტრე პირველმა უბოძა 1696 წლის 28 ივნისს აზოვთან ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის. მაგრამ წოდებულება „გენერალისიმუსი“ ოფიციალურად 1716 წელს დაწესდა სამხედრო წესდებით. გენერალისიმუსის წოდებულება მიენიჭა თავად ა. მენშიკოვს (1727 წ.), პრინც ანტონ ულრიხ ბრაუნშვეიგსკის (1740 წ.), დიდ რუს მხედართმთავარს ა. სუვოროვს (1799 წ.). საბჭოთა კავშირში წოდებულება „გენერალისიმუსი“ შემოღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით და მიენიჭა იოსებ სტალინს (1945 წლის 27 ივნისს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური
იაკოვლევი

მხატვარი
იოსებ
სამსონაძე.

# კაპიტან გასტელოს მემკვიდრე

მოთხრობა

ძალიან ცუდია, როცა უფროსების საუბარს პატარები უგდებენ ყურს, ხოლო უფრო უარესია, როცა ისინი მათ ლაპარაკში ერევიან. მაშ რა ვქნათ, თუ შენ მათთან ერთად ცხოვრობ ოთახში? ხომ არ შეიძლება ყურებზე მუდმივად ხელი გვქონდეს მიფარებული?

პატარა სერიოჟას აღარ შეეძლო სხვისი ლაპარაკის ატანა. ისინი ხელს უშლიდნენ გაკვეთილების მომზადებაში და თიშავდნენ საკუთარი აზრებისაგან. როცა დასაძინებლად დაწვებოდა, მაშინაც ვერ იძინებდა დიდხანს თუ ოთახში ვინმე ლაპარაკობდა. მხოლოდ უცნაურ ბავშვებს შეუძლიათ თავი მოიმძინარონ და სინამდვილეში კი ყურებდაცქვეტილნი უსმენდნენ.

მაგრამ ერთხელ სერიოჟაც ჩაერია სხვის ლაპარაკში და ამას.მთელი ისტორია მოჰყვა.

ეს მოხდა იმ დღეს, როცა სერიოჟას მამას ესტუმრა ერთი ძველი ნაცნობი მეგობარი, ძია ვლადი.

სადილზე უფრო მეტად მამა ლაპარაკობდა, სტუმარი კი მთელი სერიოზულობითა და გულისხმიერებით დაკავებული იყო მხოლოდ ერთი საქმით — იგი ისე დაბეჯითებით წუწნიდა ძვლებს, გეგონებოდათ, რაიმე სასტვენით ერთობაო. ძვლები სინამდვილეში გამოსცემდნენ სტვენას, რომლის ხმაზეც სტუმრის ლაპლაპა და გაღაჟღაჟებული ლოყები თვალებამდე ისე ადიოდნენ და ფარავდნენ მათ, გეგონებოდათ ძია ვლადი სიამოვნებისაგან სადაც არის სიმღერას წამოიწყებსო.

ნასადილევს სტუმარმა და მასპინძელმა როლები გაცვალეს. ახლა სერიოჟას მამა დუმდა, ხოლო ძია ვლადი ამბავს ამბავზე ჰყვებოდა. მართალია, ეს ამბები სხვადასხვა იყო, სამაგიეროდ მათი მოქმედი გმირი — ძია ვლადი რჩებოდა უცვლელი. როგორც მისი ლაპარაკიდან ჩანდა, ომის დროს მან უშიშრად გადალახა დნეპრი, პირველი შეიჭრა დამპყრობთა მიწაზე და პირადად უტევდა რაიხსტაგს. ბოლოს და ბოლოს სერიოჟა ისეთი წარმოდგენისა დარჩა, რომ ძია ვლადი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ომი.

სერიოჟა პირდაღებული უსმენდა მამის მეგობარს. ის ძია ვლადის ხედავდა ხან ვეებერთელა ტანკში (პატარაში ვერ ჩაეტეოდა), თვითმფრინავში (და აუცილებლად ბომბდამშენში), ხან მგრგვინავ ქვემეხებთან, ხან კიდევ კვამლის კორიანტელში გამოეხატა სტუმრის ჭარხალივით წითელი სახე.

ბოლოს, როგორც იქნა, მოსწყინდა ძია ვლადის ამბების მოყოლა. მოხერხებულად ჩაჯდა დივანში და მსჯელობაზე გადავიდა...

— აი, თუნდაც, ჩვენთან რომ ამბობენ, „გმირიო" — ძია ვლადიმ დაამთქნარა და სწრაფად მიიფარა პირზე ხელი, თითქოს შეეშინდა, პირიდან ჩიტი არ ამოფრინდესო, — ვინ არიან ეს გმირები? ავიღოთ, მაგალითად, კოლია გასტელო...

ლეგენდარული მფრინავის სახელი რომ გაიგონა, სერიოჟამ ყურები სცქვიტა და სკამიდან წამოხტა.

კაპიტანი გასტელო სერიოჟას საყვარელი გმირი, მისი მისაბაძი მაგალითი იყო და გზის მანათობელ შუქურად ესახებოდა ცხოვრებაში. ის მოხიბლული იყო გასტელოს გმირობით და მწარედ განიცდიდა მის დაღუპვას. ერთი სიტყვით, უცნობი კაპიტანი, რომელმაც თავი დასდო დიდი ხნით ადრე, სანამ სერიოჟა ამ ქვეყანას მოევლინებოდა, ახლობელ ადამიანად მიაჩნდა.

— ავიღოთ მაგალითად, გასტელო, — განაგრძობდა ძია ვლადი, — როგორი გმირია, დაუზიანეს მანქანა, მაგრამ შემთხვევით თვითმფრინავიანად შარაგზაზე დაეცა, რომელზეც გერმანელების ტანკები მიდიოდნენ. ეს იყო და ეს. რა შუაშია აქ გმირობა?

სერიოჟამ იგრძნო, რომ ფეხები უსუსტდებოდა. ისე მოწყვეტით დაეშვა სკამზე, თითქოს რაღაც საშინელი ხანძრისა თუ ავარიის მსგავსი რამ მომხდარიყოს. ძია ვლადის სიტყვებმა სერიოჟას მთელი ცხოვრება გადაატრიალა და ყველაფერი უაზრობად აქცია.

სტუმარი კი თავისას განაგრძობდა:

— ახლა ყველა იმას გაჰყვირის, „გმირი", გმირიო". ჩვენში საერთოდ უყვართ მკვდრებისაგან გმირების გამოყვანა, მერე და ვის სჯერა ეს? მხოლოდ აი, ასეთებს, როგორიც სერიოჟაა.

ძია ვლადიმ სახის მოძრაობით ბიჭზე აჩვენა. სერიოჟამ კი იმავე წუთს მოთმინება დაკარგა, დაავიწყდა, რომ უფროსების ლაპარაკში ჩარევა არ შეიძლება და გადაწყვიტა, რომ ძია ვლადი უბრალოდ შეცდა და საჭიროა, სასწრაფოდ აუხსნას ყველაფერი.

— გასტელო იყო ნამდვილი გმირი. მან თვითონ... - სიტყვის გაგრძელება სცადა სერიოჟამ, მაგრამ ძია ვლადიმ შეაწყვეტინა.

— ჰოდა, შეიყვარეთ, „ნამდვილი გმირი!" ეს ჩვენ, ძველმა ფრონტელებმა ვიცით, ვინ არის ნამდვილი გმირი, ჩვენ... აბა რაღა უნდა გელაპარაკოთ!

სტუმარმა ხელი ჩაიქნია, პირში პაპიროსი ჩაიდო და მასაც ძვალივით დაუწყო სრუტვა.

სერიოჟა ნაცემივით იჯდა. მან წარმოიდგინა კაპიტან



გასტელოს მკაცრი და ამაყი სახე. მას სახე გაჰყვითლე-ბოდა, ხოლო თვალები დახუჭოდა. გმირს არ უნახავს ძია ვლადის ჭარხლისფერი სიფათი და არ მოუსმენია მისი სიტყვები. გასტელოს არ შეეძლო საკუთარი თავის დაცვა და სერიოჟამ იგრძნო, რომ მას არა აქვს უფლება გულხელდაკრეფილი იჯდეს, რომ ის ვალდებულია დაიცვას გმირი.

— კაპიტანი გასტელო გმირია! სულ ერთია, გმირია!

სერიოჟამ ეს სიტყვები ყვირილით წარმოთქვა, რადგანაც როცა ყვირი, ხმა იმდენად ბავშვური აღარ არის.

— სერიოჟა! — მკაცრად შეაწყვეტინა მამამ. — ძია ვლადი გამოჩენილი და ცნობილი ადამიანია...

— არა, — უცებ გამოცოცხლდა სტუმარი, — თვითონ არის გამოჩენილი, ეს მან განვლო ავტომატით ხელში ვოლგიდან შპრეემდე, მან!

და ძია ვლადიმ ისე გაიშვირა სერიოჟასაკენ სალოკი თითი, თითქოს ტყვია უნდა გაუტაროს მკერდშიო.

სერიოჟამ თავი ჩაღუნა. მიხვდა, რომ მარტო თვითონ ვერაფერს გახდებოდა ამ ვეებერთელა, ხორცსავსე ტიკინა, ძია ვლადისთან. საჭირო იყო მოეძებნა კაპიტან გასტელოს უფრო დიდი და ძლიერი მეგობრები, რომლებიც დაღუპული კაპიტნის დაცვას შეძლებდნენ. დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილოს ისინი, რომ გარდაცვლილ კაპიტანს გამოუჩნდა ისეთი საშიში მტერი, როგორიც არის ძია ვლადი.

არავის შეუმჩნევია, როგორ წამოდგა სერიოჟა სკამიდან და ოთახიდან გავიდა. როცა უფროსები თავიანთი ლაპარაკით არიან გატაცებული, პატარებს მალე ივიწყებენ. დედა და მამა უსმენდნენ, ხოლო ძია ვლადი უკვე ხორცის ფასებზე მსჯელობდა.

სერიოჟა კი სწრაფად მიჰქროდა ქალაქის ქუჩებში. ვერც შეამჩნია, როგორ ამოყო თავი რკინის კარებთან, რომელზეც გამოსახული იყო ორი განიერი ფრთა შუაში ვარსკვლავით. ბიჭუნამ იცოდა, რომ იმ კარის იქით სამხედრო მფრინავები ცხოვრობდნენ და მათ შორის შეიძლებოდა კაპიტან გასტელოს თანამებრძოლი მეგობარიც აღმოჩენილიყო. ის გაუბედავად შეჩერდა კარებთან და ფიქრობდა, როგორ მოეძებნა ისინი.

— ჰეი, შენ, აქ რას აკეთებ? — მოესმა ბიჭს უცნობის ხრინწიანი ხმა. სერიოჟა შემოტრიალდა და დაინახა ჯარისკაცი, ცისფერი სამხრეებით. ბიჭმა შეუცდომლად განსაზღვრა, რომ იგი მფრინავი იყო. შეიძლება ის იცნობდა დაღუპულ კაპიტანს?

— მაპატიეთ... შეიძლება გკითხოთ? — აბნეულად წამოიწყო ბიჭმა. — ხომ არ მეგობრობდით თქვენ გასტელოსთან?

სერიოჟას ყურადღება არ მიუქცევია, რომ მფრინავი ძალიან ახალგაზრდა იყო და ომის დროს ალბათ თვით სერიოჟაზე პატარა იქნებოდა.

— რისთვის გინდა გასტელოს მეგობარი? — დაინტერესდა მფრინავი.

— ძია ვლადი ამბობს, რომ გასტელო გმირი არ არის, რომ ის შემთხვევით არის... — განაგრძობდა სერიოჟა, მაგრამ მფრინავმა შეაწყვეტინა.

— სისულელეს ლაპარაკობს ის შენი ძია!

— ჰოდა, მეც არაფერს ვუჯერებ.

— ძალიან სწორადაც იქცევი.

სერიოჟას გაეხარდა, ასეთი ხალისიანი მეკავშირე რომ იშოვა და ძია ვლადის ნალაპარაკები დაწვრილებით უამბო. მფრინავი ყურადღებით უსმენდა მას. მერე შუბლზე ოფლი მოიწმინდა და უთხრა:

— აი რა, შენ აქ მოიცადე. მე კი პეტრე ივანეს ძეს დავუძახებ.

სერიოჟა მიხვდა, რომ სწორედ პეტრე ივანეს ძე იქნებოდა დაღუპული გმირის მეგობარი.

კაპიტან გასტელოს მეგობარი აღმოჩნდა ტყავისქურქიანი, საშუალო ტანის, ჩასკვნილი კაცი. თვალებამდე ჩამოფხატული სამხედრო ქუდის ქვეშიდან მოუჩანდა მთლად თეთრი თმა. მისი ჭაღარა არაფრით ეხამებოდა მის თვალებში გამოკრთობილ ანცობას. თუ თმის მიხედვით ვიმსჯელებდით, პეტრე ივანეს ძე ხანში შესული იყო, ხოლო თუ მის თვალებს დავუჯერებდით — ახალგაზრდა. მაგრამ სერიოჟას ნაკლებად აინტერესებდა ამ წუთში ეს შეუთანხმებლობა. მას მოეჩვენა, რომ პეტრე ივანეს ძე რაღაცით კიდეც ჰგავდა თავის ლეგენდარულ მეგობარს.

— გამარჯობა შენი! — უთხრა მფრინავმა სერიოჟას და ხელი გაუწოდა.

მას არაფერი უკითხავს ბიჭისათვის. ჩანდა, იმ ახალგაზრდა მფრინავს უკვე მოესწრო აეხსნა საქმის ვითარება. მხოლოდ იმით დაინტერესდა, თუ სად ცხოვრობდა სერიოჟა.

— აქვე, სულ ორი გაჩერებაა, — უპასუხა ბიჭმა.

კაპიტან გასტელოს მეგობარმა უფრო მეტად ჩამოიფხატა ქუდი თვალებზე და თქვა:

— კარგი, წავიდეთ.

როცა სერიოჟამ პეტრე ივანეს ძესთან ერთად თავისი ოთახის ზღურბლს გადააბიჯა, ძია ვლადი დივანზე იწვა. ტალახში ამოსვრილი ყელიანი ფეხსაცმელი ქათქათა მუთაქაზე დაეწყო და ეძინა. ცხვირიდან ოდნავ უსტვენდა. ტუჩებს ისე აწკლაპუნებდა, თითქოს ტვინიანი ძვალი ესიზმრებაო. მძინარე სტუმრის გარდა ოთახში არავინ იყო. მამა მაღაზიაში წასულიყო, ხოლო დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა.

პეტრე ივანეს ძე მოურიდებლად მიიჭრა ძია ვლადისთან და იკითხა:

— ეს არის?

— ეს არის, — უპასუხა სერიოჟამ.

მფრინავის მძიმე ხელი მძინარის მხარზე დაეშვა. ძია ვლადი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა. თვალი გაახილა და რაკი ნამძინარევმა ვერაფერი გაიგო აბნეულად მიმოიხედა.

— თქვენზე ამბობენ, თურმე მაგრა იბრძოდით, მართალია? — ჰკითხა პეტრე ივანეს ძემ, როცა ძია ვლადი საბოლოოდ გამოფხიზლდა და წამოჯდა.

— ვიბრძოდი, — წაიბუზღუნა მან.

— რომელ ფრონტზე იბრძოდი, თუ საიდუმლო არ არის?

— ს-ს-სხვა და სხვაზე, — ორჭოფულად უპასუხა ძია ვლადიმ, — რა გინდოდათ?

— არაფერი, ისე, უბრალოდ, გამიგია თქვენი გმირობის ამბავი და დავინტერესდი. თქვენი გვარი?

— ივოლგინი.

— ბოდიში, არ გამიგია, რომელი მანქანით ფრინავდით?

— მე — მე?

— დიახ, თქვენ.

— მე არტილერიაში ვიყავი.

— არტილერიაში, — გაიმეორა პეტრე ივანეს ძემ. ისე, თითქოს უნდოდა ძია ვლადის ნათქვამი სიტყვასიტყვით დაეხსომებინა.

— კი მაგრამ, კაპიტან გასტელოს არტილერიაში შეხვდით?

ძია ვლადი შეიჭმუხნა. კითხვები ისე ხვდებოდა, როგორც ყუმბარები. ძლივს ასწრებდა პასუხებით მათ მოგერიებას.

— რა შუაშია აქ არტილერია? მის შესახებ ჩემი ამხანაგებისაგან გამიგია.

— აი თურმე რა ყოფილა. — კაპიტან გასტელოს მეგობარმა მზერა ძია ვლადიზე შეაჩერა, თითქოს საკუთარი სიტყვების უტყუარობაში უნდა გამოეცადოსო. — მე კი მეგონა, რომ თქვენ მასთან ერთად იბრძოდით. როგორც ჩანს, შეცდომა გაპარულა.

სერიოჟა მათ გვერდით იდგა და თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ მოუჭრა ყველა უკან დასახევი გზა. ბოლოს, ძია ვლადი თითქოს გონს მოვიდაო, თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდა.

— თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა მან უკმაყოფილო ხმით და დივანიდან წამოდგა.

მაგრამ მფრინავმა, რომელიც მტკიცედ იდგა მის წინ, გზა გადაუღობა.

— პოლკოვნიკი როსტოვი გახლავართ, — უპასუხა პეტრე ივანეს ძემ.



— პოლკოვნიკი როსტოვი, — წაიდუდუნა ძია ვლადიმ, — საბჭოთა კავშირის გმირი, სახელგანთქმული ასი.

ძია ვლადი გაწითლდა. მისი სახე წითელ საჰაერო ბუშტს დაემსგავსა, რომელიც ჰაერისაგან აქეთ-იქით ირხეოდა.

— იცნობთ? — ჩაიცინა მფრინავმა.

— ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ, — გამოცოცხლდა ძია ვლადი, აბა ფაფის საჭმელად კი არ ვიყავი ფრონტზე.

სერიოჟამ იფიქრა, რომ ახლა პოლკოვნიკი როსტოვი და ძია ვლადი შერიგდებიან და შეიძლება მფრინავმა გვერდზეც კი ამოიყენოს ძია ვლადიო.

— პეტრე ივანეს ძევ, ხედავთ? ძია ვლადი კაპიტან გასტელოს მეგობარი ყოფილა, — წამოიძახა ბიჭმა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. ძია ვლადი პაპიროსს მისწვდა. პოლკოვნიკი როსტოვი კი ზურგზე ხელებშემოწყობილი იდგა. ფეხები განზე გაედგა და ქანაობდა. უცებ სულ ახლოს მივიდა ძია ვლადისთან და ცივი ხმით უთხრა:

— აი, რა, ამხანაგო ივოლგინ. მე არ ვიცი, რომელ არტილერიაში იბრძოდით და როგორი უმაგალითო გმირობა ჩაიდინეთ ომში. ეს ძალიანაც არ მაინტერესებს, მაგრამ დიდებული შავარდნის, კაპიტან გასტელლოსათვის ლაქის მიცხებას არ გაპატიებთ, მე რომ ახლა თქვენზე უფროსი ვიყო, მაგ სიტყვებისათვის მაგრა მოგხვდებოდათ კეფაში, მაგრამ ჭაღარა ხალხთან მუშტის ტრიალი უხერხულია.

სერიოჟამ შეამჩნია, რომ ძია ვლადი კაპიტან გასტელლოს მეგობარს ყურადღებითა და შიშით უსმენდა. ხოლო როცა პოლკოვნიკმა მკაცრად ჰკითხა — გასაგებიაო? ძია ვლადი, რომელსაც ცოტაღა დააკლდა ეთქვა ომი მე ერთმა მოვიგეო, უნებურად გაიჭიმა და სამხედრო წესით უპასუხა:

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— აი, ეს კი კარგია, — თქვა პეტრე ივანეს ძემ. — თორემ კაპიტან გასტელლოს ბევრი კარგი დამცველი და მეგობარი ჰყავს.

ამ სიტყვებზე მან სერიოჟას შეხედა. სერიოჟას კი გული სიხარულით შეუფთხრიალდა.

სერიოჟამ პეტრე ივანეს ძე მანქანამდე გააცილა. როცა ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, პოლკოვნიკმა ხელი ღონივრად ჩამოართვა და სერიოჟას უთხრა:

— შენ სერიოზული ყმაწვილი ხარ.

სერიოჟამ იგრძნო, რომ ახლა ისინი დაშორდებოდნენ და, ვინ იცის, როდისღა შეხვდებოდნენ კიდევ ერთმანეთს. მას უცებ მოუნდა გაეგო რაიმე პეტრე ივანეს ძესაგან თავის ლეგენდარულ გმირზე და პირველი, რაც თავში მოუვიდა, ჰკითხა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო... პეტრე ივანეს ძევ, არ გახსოვთ, კაპიტანი გასტელლო ჩიბუხს ეწეოდა თუ არა?

პოლკოვნიკმა სერიოჟას შეხედა და თავი გააქნია.

— იცი რა, სერიოჟა, მე არასოდეს შევხვედრივარ კაპიტან გასტელლოს. მე ჩრდილოეთში ვიბრძოდი, მისგან შორს. ისე რომ, მისი გაცნობა ვერ მომიხერხდა.

— მაშასადამე, თქვენ მისი მეგობარი არა ხართ? — ჰკითხა აღელვებულმა ბიჭმა.

— როგორ არა, მე მისი მეგობარი ვარ, — უპასუხა პოლკოვნიკმა, — ისეთივე მეგობარი, როგორიც შენ. ადამიანებს ხომ უფრო მეტი მეგობარი ჰყავთ, ვიდრე მათ ჰგონიათ. ხოლო ამხანაგები არავის მისცემენ ასაგდებად მათ სახელს, ვინც საკუთარი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს.

... როდესაც სერიოჟა შინ დაბრუნდა, ძია ვლადი იქ აღარ დახვდა. მხოლოდ დივნის ქათქათა მუთაქაზე დარჩენილიყო მისი ტალახიანი ფეხსაცმელების კვალი.

თარგმნა კ. მამულაშვილმა.

# მიწისძვრამ ჭკუაზე მოიყვანა

არაკი

თენგიზ პაპურაშვილი

მხატვარი ჯუმბერ ჭანიშვილი.

ცხოვრობდა ერთი ხელმარჯვე ხურო.

ერთხელ მეზობელ სოფლელმა კაცმა კალატოზად დაიყენა.

ჩვეული გულმოდგინებით იმუშავა ხურომ სახლის მშენებლობაზე. ბოლოს, როცა გადახურა, კარ-ფანჯრები ჩასვა, იატაკი დააგო და კედლები შელესა, მასპინძელი თავს წამოადგა და ათასი შენიშვნით აავსო — კედლები დაბრეცილი მეჩვენება, ფანჯრები მეტისმეტად ფართოა, საყვავე კი ისეა ჩაზნექილი, თითქოს სადაც არის ჩაინგრევაო...

ოსტატს მწარედ გაეცინა — მიხვდა, სახლის პატრონს გასამრჯელოს გადახდა ეზარებოდა და შარს იმიტომ სდებდა. დაავლო თავის იარაღებს ხელი და გაუდგა გზას შინისაკენ.

გამოხდა ხანი.

ერთ ზამთარს მიწისძვრამ მთელი სოფელი დაანგრია, მხოლოდ უმადური კაცის სახლს ვერაფერი დააკლო ბუნების სტიქიამ. გაოცებული მეზობლები მის ამშენებელს მარჯვენას ულოცავდნენ. სახლის პატრონს ეკითხებოდნენ — მაინც რამდენი მიეცი იმ კურთხეულ ოსტატს, რომ ასეთი მკვიდრი კედლები ამოუყვანია, ალბათ ძვირი დაგიჯდებოდაო.

უმადურს იმათ შეკითხვებზე ელეთმელეთი მოსდიოდა, ოსტატზე თქმული ყოველი საქებარი სიტყვა ტყვიასავით ხვდებოდა მის გულს. როცა აღარ მოასვენეს გაუთავებელი შეკითხვებით და იმ ოსტატის ქებადიდებით, ჩუმად გაიპარა სახლიდან. მიადგა შორეულ სოფელში თავის ხუროყოფილს და კუთვნილი გასამრჯელო ხელში ჩაუთვალა, თან პატიებაც სთხოვა: შევცდი, ბოდიშს ვიხდიო.

ხურომ გაოცებისაგან მხრები აიჩეჩა. ყველაფერს წარმოვიდგენდი. მაგრამ ამ კაცს თუ რაიმე გამოასწორებდა, ამას კი ვერაო, — გაიფიქრა გულში.

აბა რა იცოდა, რომ ამაში მიწისძვრა იყო დამნაშავე!





# ჭადრაკი

კლუბს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი

**შოთა ინწკირველი**

მსოფლიოს მეთორმეტე ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატია. იგი დაიბადა 1951 წლის 23 მაისს ქ. ზლატოუსტში. ჭადრაკის თამაში ოთხი წლისამ ისწავლა. 11 წლის ასაკში გახდა ოსტატობის კანდიდატი და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ტულაში გადავიდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. 15 წლისა ოსტატია. 18 წლისა — საერთაშორისო ოსტატი და მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში (1969 წ.). ადრე ეს ტიტული 1955 წელს სპასკიმ მოიპოვა.

19 წლისა უკვე დიდოსტატია და ზედიზედ იმარჯვებს დიდ საერთაშორისო ტურნირში. 1973 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. საჭადრაკო ჟურნალისტებმა ორჯერ — 1973 და 1974 წლებში აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო დიდოსტატად და მიანიჭეს საერთაშორისო პრიზი „საჭადრაკო ოსკარი".

გავეცნოთ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში გათამაშებულ მეორე პარტიას.

### თეორიული დუელი
### სიცილიური დაცვა

მოსკოვი, 1974 წელი

თეთრები: ა. კარპოვი

შავები: ვ. კორჩნოი

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6.

„დრაკონის ვარიანტი" (იხ. „პიონერის" 1974 წლის № 1 და № 3).

6. კe3 კg7 7. f3 (რაუზერის სისტემა) მc6 8. ლd2 0—0 9. კc4 კd7 10. h4.

დადგენილია, რომ ფლანგის პაიკის გაწევა ამ მომენტშია ყველაზე ქმედითი.

10. ... ეc8 11. კb3 მe5 12. 0—0—0.

როგორც ვიცით, სხვადასხვა მხარეს როქის დროს ბრძოლა თითქმის ყოველთვის მწვავეა. (ბრძოლის მეთოდების შესახებ იხ. „პიონერის" 1974 წ. № 5).

12. ... მc4 13. კ:c4 ე:c4 14. h5 მ:h5 15 g4 მf6.

შეიქმნა კარგად ცნობილი პოზიცია, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთი პრობლემატურთაგანია.

16. მd—e2!

საკმაოდ ახალი და ძლიერი გაგრძელებაა. მხედრის უკან დახევით ძლიერდება ლაზიერის ფრთა (c3) და რაღაც მომენტში შესაძლებელი იქნება e4—e5.

16. ... ლa5 17. კh6 კ:h6.

შავებს პრაქტიკულ შანსებს უნარჩუნებდა ხარისხის შეწირვა 17. ... კh8.

18. ლ:h6 ეf—c8 19. ეd3!

ეს უკვე სიახლეა!

აქამდე ორივე მოწინააღმდეგე ჩქარა თამაშობდა, აქ კი კორჩნოი დიდი ხნით ჩაფიქრდა (36 წუთი), რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს სვლა შინ ანალიზის დროს გამორჩა ან სათანადოდ ვერ შეაფასა.

ირკვევა, რომ თეთრებს დრო აქვთ „პროფილაქტიკური" სვლებისათვის. ამ წყნარი სვლით თეთრები ერთხელ კიდევ იცავენ c3 მხედარს (იხ. თეთრების მე-16 სვლა), ეს კი შემდგომში ცოტა ხნით მაინც შეაფერხებს შავების კონტრთამაშს, რაც თეთრებს საშუალებას მისცემს მოასწრონ „h" ხაზით შეჭრა. თუ ეტლი d-3-ზე არ იქნება, ხარისხის შეწირვის შემდეგ შავები c3-დან სწრაფად ჩართავენ ლაზიერს მეფის დაცვაში. ახლა მუქარაა 20. g5 მh5 21. მf4.

19. ... ე4—c5.

შავები თავს იცავენ ზემოთ აღნიშნული მუქარისაგან, მაგრამ, როგორც პარტიის შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს, კარპოვს საშინაო ანალიზის დროს ესეც გათვალისწინებელი ჰქონია.



20. g5!!

ბრწყინვალე კომბინაციური შეტევის დასაწყისი.

სმისლოვს ეკუთვნის გამოთქმა: ყოველგვარი შეწირვიდან პაიკის შეწირვა ყველაზე რთული და ნატიფია.

20. ... ე:g5.

20. ... მh5 მოჰყვებოდა 21. მf4 ე:g5 22. მc—d5 და ა. შ.

21. ეd5!

აი რატომ შეეწირა პაიკი. იმისათვის, რომ ეტლი „ტყვეობიდან" იხსნან, შავები იძულებული არიან დაუშვან თეთრი მხედრის შეჭრა d5-ზე, რაც მიზანში ამოიღებს შავი მეფის ერთადერთ დამცველ ფიგურას.

21. ... ე:d5 22. მ:d5 ეe8 23. მe—f4!

მუქარაა 24. მ:f6 + ef 25. მd5 ან ჯერ 25. ლ:h7 +

23. ... კc6 24. e5!!

ზუსტი, დამაგვირგვინებელი დარტყმა, რომლის იდეაა შავი ლაზიერის გამოთიშვა მეფის ფრთიდან. (შეადარე ანდერსენის „უკვდავ პარტიას" — „პიონერის" 1965 წ. № 4). არ იგებდა სწორხაზოვანი 24. მ:f6 + ef 25. მh5 ლg5 + (როგორც იტყვიან, ლაზიერმა „სულზე მიუსწრო") 26. ლ:g5 fg 27. მf6 + მფg7 28. მ:e8 + კ:e8.

24. ... კ:d5.

თუ 24. ... de 25. მ:f6 ef 26. მh5 გარდაუვალი შამათით.

25 ef ef 26. ლ:h7 + მფf8 27. ლh8 + შავები დანებდნენ.

კარპოვის მიერ განხორციელებული შეტევის მექანიზმი, რომელშიც ძირითადი დარტყმები მე-5 ჰორიზონტალზე განხორციელდა. პირველად გვხვდება და მაღალმხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენს.

# პიონერის ბიბლიოთეკა

ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა ალბათ იციან, რომ „პიონერი" პერიოდულად აქვეყნებდა და აქვეყნებს ხოლმე კონკურსში გამარჯვებულ ნაწარმოებებს. ეს მოთხრობები მოსწონს მკითხველს, ამაზე „პიონერის" 1974 წლის ანკეტაც კარგად მეტყველებს. რედაქცია არ ღალატობს ტრადიციას და ამ მოთხრობებს, ფართო მკითხველისათვის რომ ხელმისაწვდომი იქნეს, „პიონერის" ბიბლიოთეკის" სერიით ცალკე წიგნებად სცემს. ახლახან წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა ვახტანგ გოგოლაშვილის მოთხრობა „უკვდავების წყაროსთვალი" და დურმიშხან გრიგოლაშვილის მოთხრობა „არჩევანი". ვინც ამ მოთხრობებს ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან უკვე იცნობს, ცხადია, ახალი გამოცემით გაამდიდრებს თავის ბიბლიოთეკას; ხოლო ისინი, ვისაც „უკვდავების წყაროსთვალი" და „არჩევანი" „პიონერში" არ წაუკითხავს, ხელიდან არ გაუშვებენ შესაძლებლობას, შეიძინონ და წაიკითხონ ეს წიგნები.






ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 15

## ორიოდე სიტყვით

მაინტერესებს, თამაზი ჟურნალ „პიონერს" კითხულობს თუ არა? თუ კითხულობს, მოსწონს ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მოთხრობის — „მთვარის დაბადების" პერსონაჟი სეირანის დედა? სეირანის დედა ხომ თამაზის დედას ისე ჰგავს, როგორც წყლის ორი წვეთი ერთმანეთს. მაგრამ სეირანს მაინც ჰყოფნის იმდენი გამბედაობა, ეცადოს, თავი დააღწიოს მის ოჯახში გამეფებულ ობივატელურ შეხედულებათა ტყვეობას. თამაზი კი მსგავსს არაფერს ამჟღავნებს.

მინდა მას ორიოდე სიტყვით მივმართო:

— თამაზ, შენ პიონერი გქვია, მაშასადამე, ვალდებული ხარ პირველი იყო სწავლაშიც და შრომაშიც, იყო ყველასათვის სასურველი მეგობარი, ამხანაგის •გამტანი, მამაცი. ვიმედოვნებ, შენც ასეთი გახდები.

იზო კოზერიძე,

ასპინძის რაიონის ოშორის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## აი ნამდვილი ხუთოსანი!

„აისის" № 10-ში გამოქვეყნებულმა წერილმა ფრიადოსანი მოსწავლის თამაზისა და მისი დედის საქციელის შესახებ, გადაგვაწყვეტინა მოგვეწერა ჩვენს თანაკლასელ მაია ქუფარაშვილზე. ამით გვინდა თამაზსა და მის მსგავსთ ვესაუბროთ იმაზე, თუ როგორი მოსწავლე იმსახურებს ნამდვილ პატივისცემასა და სიყვარულს.

მაია პირველი კლასიდანვე სულ ხუთებზე სწავლობს. იგი ჩვენი მე-6 პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა. ახლახან სკოლის პიონერული შტაბის უფროსადაც ავირჩიეთ. მაგრამ ყოველივე ამას მაია არ გაუმედიდურებია. პირიქით, იგი ყველა ამხანაგის გულის მესაიდუმლეა, თითოეული ჩვენგანის გაჭირვების ტალკვესია.

ჩვენმა ერთმა თანაკლასელმა ფეხი მოიტეხა და ერთ თვეს საწოლს იყო მიჯაჭვული. ამხანაგებმა მორიგეობა დავაწესეთ გაკვეთილების შემდეგ მასთან მისასვლელად, მაია კი ერთ დღესაც არ გამოტოვებდა — მიდიოდა გელასთან და ახალ გაკვეთილებს უხსნიდა. გელა ბეჯითია და არ ჩამოგვრჩენია. მაია ქუფარაშვილი შრომაშიც გვაძლევს მაგალითს. მისი თაოსნობით შევღებეთ საკლასო მერხები, დაფა, მაგიდა; ვრეცხავთ, ვასუფთავებთ საკლასო ინვენტარს, ვრგავთ მცენარეებს, ვაგროვებთ მაკულატურას, ერთად დავდივართ საბავშვო თეატრებში და კინოფილმებზე.

ზემოაღნიშნული წერილი რაზმის შეკრებაზე რომ განვიხილეთ, მაიამ გაამტყუნა თამაზის ამხანაგები — ნუთუ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს თანაკლასელზე, რათა იგი ყოველმხრივ სანიმუშო ყოფილიყო?

დარწმუნებული ვართ, თამაზი ამ წერილს რომ წაიკითხავს, დაფიქრდება და მიჰბაძავს მაია ქუფარაშვილს — ნამდვილ ხუთოსანს.

ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის VI3 კლასის მოსწავლეები.

## ვინც არ მუშაობს, არცა ჭამს

ისე როგორ უნდა იყოს საკუთარ ნაჭუჭში ჩამძვრალი მოსწავლე-პიონერი, რომ თავს იქით არაფერზე შესტკიოდეს გული! სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ არ იცოდა თამაზმა, ჯართის შეგროვება და დანიშნულებისამებრ მისი ჩაბარება რაოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა; ამ ჯართისაგან — ეგრეთწოდებული „პიონერული ნადნობისაგან" ხომ არაერთი ელმავალი, ტრაქტორი და სხვა მანქანები მზადდება ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ!

„შრომა მხოლოდ ერთი ნაწილის საქმეა და მეორე ნაწილს მხოლოდ ის ავალია, რომ კარგად ისწავლოს და ამით იმედიდუროს?" — გულისტკივილით კითხულობენ თამაზის თანარაზმელები. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება გაიცეს: შრომა ყველასათვის თანაბრად სავალდებულოა. სოციალისტური საზოგადოების პრინციპიც ხომ ეს არის: „ვინც არ მუშაობს, არცა ჭამს". საბჭოთა ხალხი კი უკვე კომუნიზმს აშენებს!

ელისო ჭელიძე,

ამბროლაურის რაიონის ჭელიაღელის 8-წლიანი სკოლის მოსწავლე.

## მარტო კარგი სწავლა კმარა?

ამხანაგს ტრავმა მოუვიდა, ორი თვით გაუცდა სკოლა. ორი თვე ცოტა დრო როდია — შეიძლება ისე ჩამორჩეს, კლასში დარჩენის საფრთხის წინაშეც კი დადგეს. რასაკვირველია, თანაკლასელი პიონერები ბედის ამარა არ მიატოვებდნენ. ისინი რიგ-რიგობით დადიან მასთან, ეხმარებიან. მათგან კი ერთი, სკოლაში „თითით საჩვენებელი" ფრიადოსანი თამაზი, მხოლოდ ერთხელ მიაკითხავს, თანაც სულ რამდენიმე წუთით — მეჩქარება, გაკვეთილები უნდა დავამზადოო. მიკვირს: ნუთუ მასწავლებლები არ იცნობდნენ თამაზს მარტო სწავლით კი არა, სხვა მხრივაც, რომ ამბობდნენ, თამაზი ჩვენს სკოლას ასახელებსო! ის, ვინც თავს აარიდებს საზოგადოებრივ შრომას, არ შეიძლება ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანი დადგეს, რაგინდ კარგადაც უნდა სწავლობდეს.

ციცინო პეტაშვილი,

ადიგენის რაიონის უდის 8-წლიანი სკოლა.

## ჩვენი შემოქმედება

# ყვავილი

გათენდა. მზემ თბილ სხივებში გაახვია დადამიწა, ყველას თვალებში ჩახედა, ყველას გაუღიმა. არც პატარა, ახალგაშლილი ყვავილი გამორჩენია, რომელიც ზღვაში ამართულ სალ კლდეზე ამოსულიყო. ყვავილი პატარა იყო, სულ პატარა, უბრალო თვალი ვერც შეამჩნევდა, ვერ შეამჩნევდა ვერც მის სახეზე გადაფენილ ღიმილს.

ლამაზი იყო მზე...

ლამაზი იყო მის სხივებში მოლივლივე ზღვა.

ლამაზი იყო პატარა ყვავილიც, ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული. მან ახლახან გაახილა თვალი. პირველი სალამი მზეს უძღვნა. აღფრთოვანებით უყურებდა ზღვას... ზღვა წყნარი და მოალერსე იყო, ეფერებოდა და ნანას უმღეროდა კლდეს. კლდე კი იყო თავისთვის და ფიქრობდა...

უცებ ქარი ამოვარდა. მზეს ღრუბელი გადაეფარა. ზღვა აღელდა, აიქოჩრა. ყვავილი შეშინდა და კლდეს მიეკრა. ტალღები თავზე ევლებოდნენ და ასველებდნენ. ყვავილი უფრო და უფრო ეკვროდა მშობელს. ევედრებოდა ზღვას, შემიბრალე, ნუ გამწირავო.

თითქოს ისმინაო მისი ვედრება, ქარი ჩადგა. დამშვიდდა ზღვაც. მზემ კვლავ გამოანათა, ისევ დახედა ქვეყანას, მიეფერა, მიესიყვარულა.

კლდეზე კი ყელმოღერებული იდგა ყვავილი, როგორც გადარჩენილი სიცოცხლის ძეგლი!

მაია მელაძე,

მცხეთის რაიონის გლდანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# ფიქრები დედაზე

ზარი დაირეკა. მოსწავლეები ჟივილ-ხივილით შეცვივდნენ საკლასო ოთახში და თავ-თავიანთ მერხებს მიაშურეს. მალე კლასში ნინო მასწავლებელი შემოვიდა. სიის ამოკითხვა რომ დაამთავრა, ცარცი აიღო, დაფაზე ლამაზად დაწერა „ჩემი დედა“ და ბავშვებს მოსიყვარულე თვალი გადაავლო.

— ბავშვებო, — თქვა მან, — ყველა თქვენგანმა დაწერეთ საკუთარ დედაზე. ჯერ კარგად მოიფიქრეთ, ნუ აჩქარდებით. წერეთ ფაქიზად.

ცოტა ხანში ყველა გატაცებით შეუდგა წერას. მხოლოდ მზია იჯდა მოწყენილი. კალამი ხელში გაშეშებოდა. გოგონამ თანამერხელის — ფიქრიას რვეულს გადახედა. „ჩემი დედა ინჟინერია. მე ვამაყობ დედაჩემით“, — ამოიკითხა. „რა ბედნიერია ფიქრია!“ — გაიფიქრა მზიამ. პირველად იგრძნო შურის მაგვარი რამ. „ნეტავ დედისგან ერთი სიტყვა მაინც მახსოვდეს!“ თვალი ცრემლით აევსო.

მასწავლებელს არ გამოჰპარვია ეს. მივიდა მასთან და წყნარად ჰკითხა:

— მზია, რატომ ტირი?

— მასწავლებელო, მე ხომ დედა არა მყავს... ერთი სიტყვაც კი არ მახსოვს მისი და, აბა, რა დავწერო?!

მასწავლებელს არაფერი უთქვამს, მხოლოდ თანაგრძნობით ჩახედა თვალებში და გაშორდა. მის გულში აიშალნენ მოგონებანი. არც მას ახსოვდა დედა. სულ პატარა იყო, უბედურმა შემთხვევამ ხელიდან რომ გამოსტაცა მშობელი. „ნეტავ ერთი სიტყვა მაინც მახსოვდეს მისი“, თითქოს მზიას კარნახით გაიფიქრა.

როცა გამოერკვა, ბავშვებს წერა დაემთავრებინათ, მხოლოდ მზია წერდა გამალებით.

„საინტერესოა, რასა წერს“, — ნინო მასწავლებელი მზიას მიუახლოვდა და ნაწერს დახედა. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებმა აშკარად დაინახეს მის თვალებში გაბრწყინებული ცრემლი დედაშვილური სიყვარულისა.

მზიას რვეულში „ჩემი დედას“ ნაცვლად ეწერა: „ჩემი ნინო მასწავლებელი“.

ცირა ქათამაძე,

ტყიბულის რაიონის ორპირის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



ძველი თბილისი (ლინოგრავიურა). ზ. ფცქიალაძე (თბილისის ბავშვთა სამხატვრო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზარზმის მონასტერი

## პასუხი 1975 წ. № 7-ში დასმულ კითხვებზე

ზარზმის მონასტერი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრი იყო ისტორიულ სამცხეში. იგი ქვაბლიანისა და ძინძეს ხეობათა შესაყართან, ადიგენის დასავლეთით 6-7 კმ დაშორებით მთაზეა გაშენებული.

ზარზმის მონასტრის დაარსებისა და მშენებლობის შესახებ ცნობები, სხვა საყურადღებო ისტორიულ მონაცემებთან ერთად, X საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწისა და ზარზმის მონასტრის წინამძღვრის — ბასილ ზარზმელის სახელგანთქმულ თხზულებას — „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისას“ დაუცავს. აქ მოთხრობილია, თუ რა წინააღმდეგობასა და სიძნელეებს წასწყდომიან ბერები სამონასტრო ადგილის ძიებისას ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფალთაგან, რის გამოც მათ საშინელი სასწაული მოვლენიათ და, როგორც ბასილი მოგვითხრობს, „მიერიდგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მოუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“. თხზულებიდანვე ირკვევა, რომ თავდაპირველად აქ რიყის ქვით დაუწყიათ ეკლესიის შენება, ხოლო შემდეგ ერის მთავარ გიორგი ჩორჩანელის დახმარებით სოფელ უმწაიდან (ალბათ დღევანდელი უნწა) მიწისძვრით დანგრეული ეკლესიის თლილი ქვები მოუზიდავთ „კუთხეთა და კამარათათვის“. მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი ოსტატები, სერაპიონ ზარზმელის მოწაფენი „ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი იგი ძმანი...“ ეკლესიის მშენებლობა სამ წელიწადს გაგრძელებულა, ხოლო შემდეგ შეუმკიათ ტაძარი და „აღმართეს მას შინა ცხოველმყოფელი ხატი ფერიცვალებისაი და ამისა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათაო“, — მოგვითხრობს ბასილი.

დროთა განმავლობაში აქ გაზრდილა ბერების რიცხვი და სამონასტრო ცხოვრება განვითარებულა, რომელსაც გიორგი ჩორჩანელმა „მისცნა ყოველნი სახმარნი და... სოფლებნიცა“. ზარზმაში ამით არ დამთავრებულა საქმე. მალე მეორე ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ სერაპიონის მომდევნო წინამძღვრის — გიორგის მემკვიდრის — მიქელის დროს. ამასთან დაკავშირებით ბასილი მოგვითხრობს: „რამეთუ ხელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა მიქელ ქუეყნისაგან ბერძენთაისა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა... რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზ [ი] სახელით შუარტყლელიო“. ეკლესიის მშენებლობა მომდევნო წინამძღვრის — პავლეს დროს დაუმთავრებიათ, ხოლო პავლეს შემდეგ მონასტრის წინამძღვრობა მიიღო სერაპიონის ძმისწულმა ბასილმა, რომელიც ზარზმაში სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მოსულა, შეუმკია და გაუმშვენებია სერაპიონის სამარხი და ყოველწლიური ხსენება განუწესებია მისი 29 ოქტომბერს.

როგორც დავინახეთ, ზემომოყვანილი ცნობები ზარზმის მონასტრის დაარსების დასაწყის ისტორიას ეხება, მაგრამ დღეს არსებულის შესახებ არაფერს გვეუბნება.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოკლედ ეხება ამ ძეგლს და აღნიშნავს, რომ „ყუელს ზეით (იგულისხმება ყველის ციხე), მთაში არს ზარზმის მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს და აწ უქმი“. სამაგიეროდ, შემდეგი ხანების (XIX-XX საუკ.) არაერთ მკვლევარსა და მოგზაურს მიუქცევია ყურადღება ზარზმის მონასტრისათვის.

მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანია, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი გორდეევი — აი არასრული სია ცნობილი მკვლევარებისა, რომელნიც სხვადასხვა კუთხით შეხებიან ძეგლს, მრავალი საყურადღებო თვალსაზრისი გამოუთქვამთ და დასკვნა გამოუტანიათ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. ვ. ბერიძის ნაშრომი „სამცხის ხუროთმოძღვრება“, რომელშიც ზარზმის მონასტერი ყოველმხრივ და სრულად არის შესწავლილი.

ზარზმის მონასტრის მთავარი ტაძარი გეგმით კვადრატში მოქცეულ ჯვარს წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც ამოყვანილია ორ თავისუფლად მდგარ რვაწახნაგა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათი. ჯვრის აღმოსავლეთის მკლავი დამთავრებულია საკურთხევლის აფსიდით, ხოლო დანარჩენი მკლავები უაფსიდოა. საკურთხევლის ორსავე მხარეზე (ჩრდილოეთით და სამხრეთით) წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის უაფსიდო სამყოფლებია (სადიაკვნე და სამკვეთლო) მოთავსებული, რომელთაგან მხოლოდ სამკვეთლოა გასასვლელით დაკავშირებული საკურთხევლის აფსიდთან. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს: ერთი დასავლეთიდან, ხოლო მეორე — სამხრეთიდან. აღსანიშნავია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეებში მოთავსებული უიატაკო პატრონიკენი. აქ მოყვანილია მხოლოდ თაღოვან სარკმლებიანი კედლები, რის გამოც, სარკმელთა მცირე რაოდენობის მიუხედავად (გუმბათში ექვსი სარკმელია, აფსიდასა და გვერდითა სამყოფლებში კი — თითო), ინტერიერში მოსალოდნელზე მეტი სინათლეა. ტაძრის გარე კედლები მოპირკეთებულია სუფთად თლილი ქვის კვადრებით და მდიდრულად არის შემკული ჩუქურთმებით. ხუროთმოძღვარს გულმოდგინედ შეურჩევია მოსაპირკეთებელი მასალა. ძირითადად გამოუყენებია ბაცი-მოყვითალო-მოვარდისფრო ფერის ქვა, რომელთა შორის ჩაურთავს წითელი ფერის ტუფისაგან გათლილი კვადრები, ხოლო გუმბათის ყელის წყობაში — მომწვანო და მოცისფრო, რითაც მიღწეულია კედლის სიბრტყეებისა და მასალების ფერწერული დამუშავების სრული ეფექტი. საყურადღებოა, როგორც ინტერიერის, ისე გარე მასების მხატვრული გააზრებაც.

აღსანიშნავია, რომ კედლის მხატვრობაში, რომელიც ტაძრის ინტერიერში დღემდე, მართალია, გვიანდელი რესტავრაციის შედეგად შერჩენილა, წარმოდგენილია საერო პირთა პორტრეტებიც, რომელნიც არსებითად ძეგლის ხუროთმოძღვრულ თავისებურებათა ანალიზზე დამყა-

# იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?

გავშვებო, დააკვირდით ამ ფოტოსურათს და მოგვწერეთ, რომელი ისტორიული ძეგლია აქ გამოსახული, სად მდებარეობს იგი და საერთოდ, რა იცით მის შესახებ.



რებულ დათარიღებას კიდევ უფრო ამაგრებს და აზუსტებს. ტაძრის სამხრეთის მკლავის კედელზე გამოსახულია სამცხის პირველი, დამოუკიდებელი, ჯაყელთა გვარის ათაბაგთა პორტრეტები, პირველი ფიგურის წარწერას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ე. თაყაიშვილის, მიხედვით, აქ წარმოდგენილია სარგის I, სამცხის ათაბაგი, რომლის გამოსახულებაც საფარის მონასტრის კედლის მხატვრობაშიც არის დადასტურებული. მეორე ფიგურით, წარწერის მიხედვით, წარმოდგენილია „მანდატურთ უხუცესი — ბექაი“, შემდეგ გამოსახულია სარგის II — სამცხის ამირსპასალარი, და, ბოლოს, ყუარყუარა მხატვართუხუცესი—ამირსპასალარი. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეკლესიის უშუალო მშენებელნი აქ გამოსახული ათაბაგები არიან. როგორც ჩანს, ეკლესია მათმა ხელქვეითმა, ადგილობრივმა ფეოდალებმა ააშენეს; მათი პორტრეტებიც, ალბათ აქვე, ოღონდ ჩრდილოეთის კედელზე იყო გამოსახული, მაგრამ ეკლესიის მეორედ მოხატვისას ეს პორტრეტები დაიღუპა და მათ ნაცვლად ახლა, სხვა, XVI საუკუნეში მცხოვრები ისტორიული პირნი არიან წარმოდგენილი. აკად. ვ. ბერიძე ათაბაგთა პორტრეტების (როგორც საფარის, ისე ზარზმისა) შედარებითი შესწავლის შედეგად დაასკვნის, რომ, ვინაიდან ზარზმის მხატვრობაში ყუარყუარა წარმოდგენილია არა როგორც ჭაბუკი, „არამედ უკვე შუახნის მამაკაცი“, ხოლო სარგის I — შარავანდედით, „მაშინ როცა სხვები — ბექა, სარგის II და ყუარყუარა — უშარავანდედოდ, იმას მოწმობს, რომ... იგი, სარგის I უკვე გარდაცვლილია“. აქედან გამომდინარე, მკვლევარი დაასკვნის, რომ „ერთი მიჯნა XIII საუკუნის 80-იანი წლები იქნება — სარგისის გარდაცვალების დრო, მეორე კი 1808 — ბექას გარდაცვალების წელი“, ე. ი. „ზარზმის მთავარი ტაძარი XIII-XIV საკუნეების მიჯნაზეა აგებულიცა და მოხატულიცო“.

მონასტრის ნაგებობათა ანსამბლში თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორსართულიან სამრეკლოს, იგი, საერთოდ, მსგავს ნაგებობათა შორის ერთ-ერთი ადრეული და უდიდესთაგანია საქართველოში.

პირველი სართული მოგვიანებით არის გადაკეთებული, აქ ამოუშენებიათ ორი კედელი და მოუთავსებიათ წარწერა, სადაც ფარსმან ხურციძესთან ერთად იხსენიება მღვდელმთავარი მაწყვერელი სერაპიონ ხურციძე, რომელნიც ზარზმაში XVI საუკუნის პირველი ათეული წლების შემდგომ დამკვიდრებულან და მონასტრის მეორე პერიოდის მოხატულობაშიც არიან ასახული. ზარზმის მონასტრის მრავალრიცხოვან ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, როგორც შინაარსის, ისე სიძველის მხრივაც, სამრეკლოზე მიდგმული მცირე სამლოცველოს შესასვლელის თავზე, წყობაში ჩართული, წარწერიანი ქვა, სადაც მოთხრობილია ბარდა სკლიაროსის განდგომის ცნობილი ამბავი.

ზარზმის მონასტრის განვითარებაში რამდენიმე ქრონოლოგიური ეტაპი ჩანს, X საუკუნიდან დაწყებული მოიცავს XI-XIII საუკუნეებს, ხოლო შემდეგ, XVI საუკუნიდან თვით XX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც ხუროთმოძღვარ სვინინისა და მხატვარ სლავცევის მიერ რესტავრირებულ იქნა, როგორც თვით ძეგლი, ისე კედლის მხატვრობაც.

ირაკლი ჯანდიერი.



**განყოფილებას მიჰყავთ გორის ქნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგებს — მერი ტაბიძესა და ლეილა ახობაძეს.**

## კულინარია

### ალუბლის ტორტი

10 ცალი კვერცხი;
$2^1/_2$ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი;
2 ჩაის ჭიქა ფქვილი;
50 გრ კაკაო.

### კრემისათვის საჭიროა:

50 გრ კაკაო;
600 გრ კარაქი;
6 სუფრის კოვზი რძე;
2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი;
$2^1/_2$ ჭიქა კურკაგამოცლილი ალუბალი;
100 გრ შოკოლადი;
ვანილი.

### ცომის მომზადება

10 კვერცხის ცილა გათქვიფეთ გათეთრებამდე და შესქელებამდე, შემდეგ დაუმატეთ $2^1/_2$ ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და თქვიფეთ 20 წუთს, თან დაუმატეთ თითო კვერცხის გული ისე, რომ თქვეფა არ შეწყვიტოთ. ასე გააგრძელეთ 20-25 წუთს. მერე დაუმატეთ ვანილი, კაკაო და ფქვილი, ფრთხილად მოურიეთ, ისე, რომ ფქვილი შეუერთდეს გოგლიმოგლს, ცომი მზად არის. ჩაასხით წინასწარ გამთბარ და ცხიმწასმულ ყალიბში და შედგით ჰაერღუმელში გამოსაცხობად საშუალო ცეცხლზე, გამოცხობის შემდეგ გააცივეთ და წაუსვით კრემი.

### კრემის მომზადება

შაქრის ფხვნილსა და კაკაოს ფხვნილს დაასხით 4 სუფრის კოვზი რძე და შედგით ცეცხლზე. განუწყვეტლივ ურიეთ, როგორც კი ადუღდება, გადმოდგით, გააცივეთ და დააყარეთ ვანილი.

ცალკე გათქვიფეთ კარაქი გათეთრებამდე, შემდეგ შეურიეთ წვეთ-წვეთობით კაკაოსა და შაქრის ფხვნილით მომზადებული სითხე, ურიეთ 20 წუთს. კრემი მზად არის.

### ნამცხვრის გაფორმება

გასჭერით ჰორიზონტალურად ნამცხვარი, წაუსვით კრემი და დააწყვეთ ალუბალი თანაბრად, დააფარეთ ზემოდან ნამცხვრის მეორე ნაწილი. ზევიდან დაასხით სარკლა („გლაზური").

სარკალა მზადდება შემდეგნაირად: შოკოლადი გაადნეთ ნელ ცეცხლზე, — დაასხით 2 სუფრის კოვზი რძე და შეურიეთ ერთიმეორეს — სარკალა მზად არის.

## ქსოვა

### ნაქსოვი სარაფანი, ზომა 48

ქსოვისათვის საჭირო მასალა: შალის ძაფი 650 გრ., ჩხირები № 3, და ავტომესაკრავი („ელვა" შესაკრავი) 40 სმ სიგრძისა.

ქსოვის სახეა ძირითადად წინდისებური. თვლების გაანგარიშება 25 თვალი= 10 სმ.

ზურგი: აიღეთ 146 თვალი და მოქსოვეთ 3 სმ წინდისებური ქსოვით ქობისათვის, შემდეგ წაღმა პირიდან მოქსოვეთ 1 რიგი უკუღმა თვლებით, მერე გააგრძელეთ ქსოვა წინდისებური ნაყშით, კლება მიმდინარეობს ორივე მხრიდან, თითო თვალი ყოველი 7 სმ შემდეგ (ე. ი. აკლდება როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ), 81 სმ სიმაღლეზე (ქობის ჩათვლით) იღლიისათვის გადახურეთ ორივე მხრიდან 1×4 თვალი, 3×2 თვალი, 4×1 თვალი. რიგის გამოკლებით იღლიის ხაზიდან 9 სმ სიმაღლეზე ორივე მხრიდან მოუმატეთ 8×1 თვალი, ყოველი 1 სმ შემდეგ 100 სმ სიმაღლეზე მხრისათვის გადახურეთ 32 თვალი 4 გავლაზე, ხოლო 102 სმ სიმაღლეზე თავის









### აბა, დაგვაცადეთ, ვირთაგვებო!

რა არ გამოიგონა კაცობრიობამ იმ დაუსრულებელ ომში, რომელსაც იგი საუკუნეთა მანძილზე ეწევა თაგვებისა და ვირთაგვების წინააღმდეგ ბელლებში! სათავგური ნაკლებეფექტურია, საწამლავი ადამიანისთვისაც საშიშია, კატა ვერ გასწვდება მთელ ლეგიონს... მაშ რა ილონოს კაცთა მოდგმამ?

ახლახან ერთ-ერთი ამერიკული ფირმის ინჟინრებმა ახალი სიტყვა თქვეს ამ ძველისძველ დავაში. ეს სიტყვა არის ლათინური სიტყვებისაგან („როდენტუსი" — მღრღნელი და „ექსტრამინაციო" — მოსპობა) შედგენილი სიტყვა „როდექსი".

„როდექსი" ულტრაბგერიანი საფრთხობელაა. ამ ბგერის სიძლიერე და სიხშირე ისე მცირეა, რომ მას ჩვენი ყური სრულებით ვერ აღიქვამს. არც კატები, ძაღლები, ცხვრები, ძროხები რეაგირობენ მასზე. სამაგიეროდ, თაგვები და ვითაგვები ამ დიაპაზონის ხმას ვერ იტანენ. საკმარისია, ხუთკილოგრამიანი ჩემოდანი, რომელშიც „როდექსია" მოთავსებული, ელექტროქსელში ჩავრთოთ, რომ ოთხფეხა მავნებლები ელვის უსწრაფესად გაშორდნენ იქაურობას.

ვინ იცის, იქნებ მსოფლიო ბეღელში ახალი ერა იწყება!

### კლინიკა მცენარეებისათვის

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი კლინიკა მცენარეებისათვის. „პაციენტების" პატრონები კლინიკის ექიმს დაწვრილებით აცნობენ თავიანთი დასნეულებული გლადიოლუსების, პარაზიტი მწერების მიერ დაზიანებული კაქტუსების, ყავისფერი ლაქებით აჭრელებული კაუჩუკის ხეებისა და სხვათა ავადმყოფობის ისტორიას.

კლინიკა ავადმყოფ ხეებს სტაციონარულადაც მკურნალობს. სათბურში, სადაც მათ ათავსებენ, გულმოდგინედ აკონტროლებენ ტემპერატურას, მკაცრად იცავენ გამოწერილ დიეტას... განკურნებული მცენარეები პატრონებს უბრუნდებიან შემდგომი მოვლის ინსტრუქციითურთ.

ჭრილისათვის გადახურეთ ცენტრალური (ე. ი. შუა) 26 თვალი, და მოქსოვეთ ცალკე მარცხენა ნაწილი, ცალკე ზურგის ნაწილი და ცალკე მარჯვენა ნაწილი; გადახურეთ მხრისა თ ვ ი ს 1×7 თვალი, და 1×5 თვალი ყოველ მეორე რიგში. სარაფანის წინა ნაწილი იქსოვება ზურგის ანალოგიურად, მხოლოდ აქ 38 სმ სიმაღლეზე თვლების რაოდენობა იყოფა 2-ად (ავტოშესაკრავისათვის) და თითოეული ნაწილი იქსოვება ცალ-ცალკე. 78 სმ სიმაღლეზე თავის ჭრილისათვის გადახურეთ 1×6 თვალი, 1×5 თვალი, 1×4 თვალი, 1×3 თვალი, 2×2, და 3×1 თვალი ყოველ მეორე რიგში, შემდეგ განაგრძეთ ქსოვა პირდაპირ, იღლია და მხარი გადახურეთ ისევე, როგორც ეს გააკეთეთ ზურგის ნაწილისათვის.

მზა დეტალები უკანა მხრიდან დააუთოეთ სველი ნაჭრის ქვეშ, გაკერეთ მხრები. იღლიასა და თავის ჭრილის გარშემო, აკრიფეთ თვლები და მოქსოვეთ 12-14 რიგი თავშლისებური ქსოვით. შემდეგ გაკერეთ გვერდები, მოაკერეთ ავტოშესაკრავი და შემოუტეხეთ ქობა. შეგიძლიათ გულზე მიაკეროთ ჯიბე მოქსოვილი თავშლისებური ქსოვით ან ამოქარგოთ, ეს უკვე თქვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული.



ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია, რომ ესა თუ ის საგანი როცა მოძველდება და თავის ფუნქციას დაკარგავს, სხვა დანიშნულებისათვის შეიძლება გამოიყენო. აი ახლაც, დახედე ამ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქლიბებს. ეს ქლიბები მაღაზიაში, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ უტაროდ იყიდება. ადექი, მსხვილ ფანქარს გული გამოაძრე, ქლიბის ლითონის წვრილი სახელური გაახურე და ფანქარი ზედ ჩამოაცვი. დაგვერწმუნე, შეიძლება ქლიბს ხმარებით პირი გაუცვდეს, შენი დაგებული ტარი კი ისევ მთელი იქნება.



როცა წიგნი ირგვლივ (ე. ი. ფურცლების კიდეები) მოისვრება, გული არ გაიტეხო. იყიდე ზუმფარის ქაღალდი. წიგნი მაგიდაზე დადე ისე, რომ გადანაჭერი პირი რამდენიმე სანტიმეტრით გადმოსცდეს მაგიდის ძგიდეს, შემდეგ გარეკანი გადაკეცე და ფურცლების კიდეები ზუმფარის ქაღალდით კარგად გახეხე.



ბაღში ან ეზოში ცის ქვეშ დადგმული ძელსკამი სველდება და ზედაპირი უზიანდება. დააკვირდი ამ ნახატს და სკამის დასამაგრებლად რკინის კილო გამოიყენე, რათა, როცა არ გჭირდება, აკეცო.

კარი რომ ბოლომდე არ გაიღოს და სახელური კედელს არ მიეხეთქოს, ზოგიერთი იატაკზე ლურსმანს აჭედებს. ეს არ არის კარგი გამოსავალი. გააკეთე ხის სოლი და კარს ქვედა ჩარჩოზე ისე მიამაგრე, როგორც აქ არის გამოსახული.







## კარგი ნუგეშია, არა?!

შარშანდელი წლის დამლევს პარიზის პოლიციის უფროსმა შეადგინა საავტომობილო კატასტროფების ნუსხა. შემდეგ მან გადაწყვიტა ეს სავალალო ციფრები შეედარებინა შორეულ წარსულში მომხდარი ავარიების რაოდენობისათვის. არქივარიუსმა 1909 წლის ანალოგიური ნუსხა მოუძებნა. იმ დროს პარიზის ქუჩებში ძირითადად ფიაკრები (საქირაო ეტლი) და კარეტები დადიოდა, ავტომობილს ძალზე იშვიათად თუ მოჰკრავდით თვალს. და აი რა აღმოჩნდა: ამჟამად ავტომანქანები წელიწადში დაახლოებით 12 ათას კაცს ეჯახებიან, ეტლების თვლებქვეშ კი 20 ათასი პარიზელი ვარდებოდა... შეიტყო თუ არა ეს ამბავი, პოლიციის უფროსმა დაუყოვნებლივ აცნობა გაზეთებს, რომ მის ქალაქში საქმეები არც ისე ცუდად მიდის.

## მცენარეთა გასაჭირი

1974 წლის მიწურულს ამერიკელ ბოტანიკოსთა თათბირზე შედგა სია იმ მცენარეთა, რომელთა არსებობასაც საფრთხე ემუქრება.

ამ სიის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცენარეთა სახეობების ათი პროცენტი სრული გაქრობის ზღვარამდეა მისული. ყველაზე სავალალო მდგომარეობა შეინიშნება ჰავაის კუნძულებზე: იქ ტროპიკულ მცენარეთა 1267 სახეობა გადაშენების საშიშროების წინაშე დგას. ჰავაიური მცენარეების ორას სამოცდაექვსი სახეობა შეიძლება უკვე გადაშენებულად ჩაითვალოს, თანაც ეს სულ რაღაც ათი წლის მანძილზე მოხდა. ამერიკის თვით ნახევარუდაბნოებშიც კი, სადაც ადამიანს ჯერ კარგად ვერ მოუკიდია ფეხი, ბევრი მცენარე იშვიათობად იქცა (ერთ-ერთი სახეობის კაქტუსი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის „წინათ საკმაოდ იყო გავრცელებული, ამჟამად სამასი დოლარი ღირს თითო ცალი).

## ზღარბები რომ გაქრნენ...

იტალიის ერთ-ერთ ხეობაში — აოსტაში იმდენი შხამიანი გველი გაჩნდა, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ პირველი სამედიცინო დახმარების ახი პუნქტის გახსნა მოუხდათ. თვით რომის მცხოვრებლებიც კი იძულებული არიან სპეციალური ზომები მიიღონ შხამიანი ქვეწარმავლებისაგან თავის დასაცავად. თავდაპირველად გველები ხეებზე აცოცდებიან ხოლმე, ხეებიდან კი პირდაპირ ბინებში შედიან. ქვეწარმავალთა ასეთი გაუგონარი მომრავლების მიზეზი სულ უბრალო რამ არის: თითქმის სრულიად გაქრნენ გველის ბუნებრივი მტრები — ზღარბები და მტაცებელი ფრინველები.

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

**შვეულად:** 1. მარაო; 2. ჭერამი; 3. ენისეი; 5. კოპერნიკი; 7. ინდონეზია; 8. უნაგირი; 9. დეკრეტი; 10. ამირანი; 12. მაისი; 13. ატამი; 21. გდინია; 22. მარანი; 25. მარსი.

**თარაზულად:** 2. ჭავჭავაძე; 4. რუსთაველი; 5. კუმისი; 6. ანკესი; 11. ანაპა; 12. მატერია; 14. ედემი; 15. აგარაკი; 16. ერი; 17. ანანური; 18. არმია; 19. იზოტოპი; 20. ოზონი; 23. იადონი; 24. ქაჯანა; 26. ნოსტალგია; 27. აკროსტიქი.

შარადა: სტახანოველი.
ამოცანები: 162. 10 ავტო, 30 მოპედი.
გამოცანა: ჭადრაკი.



# ყურადღება, სტარტზე!

**ცურვა**

**მეხუთე გაკვეთილი**

დახედე დედამიწის გლობუსს. ჩვენი პლანეტის დიდი ნაწილი ზღვებითა და ოკეანებით არის დაფარული. ათასობით დაუქსელავს მისი ზედაპირი. ჰოდა, განა შეიძლება იცხოვრო ისეთ სამყაროში და არ იცოდე ცურვა? მაგრამ სამწუხაროდ, დღევანდელი ბავშვების უმეტესობამ ცურვა არ იცის.

წარმოიდგინე ჩვენი პლანეტის ძველი მცხოვრები. მისი ძირითადი საქმიანობა ნადირობა იყო, მაგრამ ნადირის მიგნება ერთია, მოკვლა მეორე. აი, დევნით დამფრთხალი ნადირი, სხვა გზა რომ არა აქვს, მდინარეში შევარდება. რა ქნას მონადირემ? ეს შესაძლებლობა რომ ხელიდან გაუშვას, იქნებ მთელი დღე მშიერმა იაროს. ამიტომ ისიც შედის მდინარეში, ცურვით გადალახავს წყალს.

ვინ იცის, იქნებ ასეთმა შემთხვევებმა ასწავლა ადამიანს ცურვა?! ან იქნებ ხშირი წყალდიდობისაგან თავდასახსნელად დასჭირდა ცურვის ცოდნა?!

„ახლა სულ სხვა ეპო-

## სარჩევი


ხერგიანი მ. — გამოცდა მთავარ საგანში (ნარკვევი) . . . 1
მერაბიშვილი ე. — დაკარგული ანდრომაქე (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . 4
მგელაძე ნ. — მართვეები სწავლობენ ფრენას (ნარკვევი) . 10
არტეკი პიონერთა რესპუბლიკა . . . 12
ჩხაიძე თ. — ქადის ნატეხი, მასწავლებელი, (ლექსები) . . 13
გელოვანი ა. — დედის ბალი (ლექსი) . . . 13
კეცხოველი ნ. — ხიზანი (მოთხრობა) . . . 14
ფაილოძე ნ. — მანავი ახლოს არის ლესელიძის ქუჩასთან (ნარკვევი) . . . 17
იაკოვლევი ი. — კაპიტან გასტელოს მეგობარი (მოთხრობა) 21
პატურაშვილი თ. — მიწისძვრამ ჭკუაზე მოიყვანა (არაკი) . 24
მხედრიონნი . . . 25
ნიშნიანიძე გ. — იუმორი . . . 25
აისი . . . 26
ჯანდიერი ირ. — ზარზმის მონასტერი (წერილი) . . . 28
გამოგადგება . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . 30
ყურადღება სტარტზე . . . 32


გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე ნახატები ზ. ზარაფიშვილისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05, 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/VI-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/VIII-75 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 2562. ტირ. 140.750. უე 82010.

ფასი 20 კაპიკი




© „პიონერი“, 1975 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ქაში ვცხოვრობთ, ატომისა და კოსმოსური ტექნიკის დროს, ცურვა ნუთუ ასე აუცილებელია?

— შეიძლება იფიქრო შენ. კითხვის ასე დასმა დიდი შეცდომაა. ცურვა ადამიანისათვის დღესაც არანაკლებ აუცილებელია. ჯერ ერთი, იგი პრაქტიკულად დაგჭირდებათ ცხოვრებაში; შემდეგ, რაც მთავარია, ძნელია ფიზიკური წრთობის, ორგანიზმის ჰარმონიული განვითარებისათვის სპორტის უკეთესი სახეობის დასახელება. ბოლოს, რომელ თქვენგანს, ბიჭი იქნება თუ გოგო, არ შეშურებია მოცურავეების, წყალბურთელების, წყალში მხტომელების ტანის სილამაზე? ამასთან ცურვა ადამიანს აიძულებს მძლავრად ისუნთქოს, ეს კი დიდებულად ავითარებს გულმკერდს, ზრდის ფილტვების მოცულობას.

ასე რომ, ცურვა ყველამ უნდა იცოდეს.

ცურვის შესწავლა შემდეგ ძნელდება, თორემ ბავშვობის ასაკში სულაც არ არის რთული.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგინდა, რომ სპორტის ოსტატთა ძირითადმა მასამ (66-76%-მა) ვარჯიში 9-13 წლის ასაკში დაიწყო. როგორც ხედავ, სწორედ ახლაა დრო, რომ გადაეშვა წყალში.

მშთ-ს ნორმატივების შესასრულებლად 10-11 წლის ბავშვებმა უნდა გაცურონ 25 მეტრი, 12-13 წლისებმა — 50. (დრო არ ინიშნება). ეს მანძილი შეიძლება კროლითაც გაცურო და ბრასითაც. კროლით ცურვისას სპორტსმენი მორიგეობით უსვამს ხელებს და სწრაფად ამუშავებს ფეხებს. ამ სტილით მაშინ ცურავენ, როცა მანძილის სწრაფად გადალახვაა საჭირო. ბრასით ცურვა კროლით ცურვაზე ნელია, მაგრამ ხანგრძლივი ცურვისათვის იგი ძალზე მოსახერხებელია, რადგან დიდი ენერგია არ იხარჯება.

ცურვის შესწ ა ვ ლ ა მწვრთნელის, მშობლების ან, საერთოდ, ცურვის მცოდნე ადამიანის ხელმძღვანელობით შეიძლება. ჩვენ კი აქ ჩამოგითვლით ზოგიერთ იმ დამხმარე ვარჯიშს, რითაც ჩვეულებრივ იწყებენ ცურვის შესწავლას. წყალი წელამდე უნდა გწვდებოდეს.



1. ჩაისუნთქე და წყალში ჩაეშვი. წყალმა პირი და ცხვირი უნდა დაგიფაროს. წყალშივე პირიდან ამოისუნთქე. გაიმეორე 10-ჯერ.

2. ჩაისუნთქე, წყალში ჩაყვინთე. დათვალე 10-15-ჯერ და თავი ამოსწიე, გაიმეორე 5-6-ჯერ.

3. ისწავლე წყალში თვალის გახელა. ჩაისუნთქე, მოძებნე ფსკერზე რაიმე საგანი და ამოიღე. გაიმეორე 4-5-ჯერ.

4. შეეჩვიე წყალში მოსმენას. ჩაისუნთქე და ჩაყვინთე. ვინმემ წყალში რამდენჯერმე დააჭახუნოს ქვები. ამოყვინთე და თქვი, რამდენჯერ მოგესმა ხმა. გაიმეორე 3-4-ჯერ.

5. სწორად სუნთქვა რომ ისწავლო, ამისთვის 10-15-ჯერ გააკეთე ეს ვარჯიში: სწრაფად და ღრმად ჩაისუნთქე, თავი წყალში ჩაყავი და ნელ-ნელა ამოისუნთქე. ეს ისე გააკეთე, რომ სრული ამოსუნთქვა წყლიდან თავის ამოყოფისას დაამთავრო.

შეცდომის გასწორება: მე-13 გვერდზე თ. ჩხაიძის პირველი ლექსის სათაური უნდა იყოს „მასწავლებელს", ა. გელოვანის ლექსისა კი — „დიდის ბაღი"





ИНДЕКС 76157